ყოველკვირეული
სპორტული ჟურნალი
ფასი 2 ₾

Sweet

№48 8-14 დეკემბერი 2015

ᲙᲝᲑᲘᲛ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲣᲮᲡᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲥᲕᲐ...



ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠ

22,24

ᲕᲘᲜ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ FIFA BALLON D'OR 2015

6

ᲨᲔᲪᲓᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲞᲔᲠᲔᲡᲘ?

16

ᲞᲝᲡᲢᲔᲠᲔᲑᲘ

BET MAN

სუპერ გათამაშება

3-ოთახიანი გარემონტებული
ბინა დირსის კომპლექსში

JAGUAR F TYPE

LAND ROVER DISCOVERY SPORT
RANGE ROVER EVOQUE

50,000 ₾
25,000 ₾
20,000 ₾
15,000 ₾
10,000 ₾

მეტი დეპოზიტი
მოგების მეტი შანსია!

europe-bet.com

Dirsi
მოლოდინზე მეტი

პალიტრა მედია

ლელო week

გაზეთ ლელოს
მთავარი რედაქტორი
გია თვალაბეიშვილი

ლელო week

გამოიცემა
ყოველ სამშაბათს

მთავარი რედაქტორი
პაატა გელაშვილი

ავტორები
გია ტუხაშვილი
მერაბ მამულაშვილი
ალეკო კაკაურიძე
ვაჟა სიმონიშვილი
ვაჟა დანელია
ირაკლი თავაძე
ვასილ ბალახაძე
ბესიკ ჯანგავაძე
ნიკოლოზ ნეფარიძე
ზურა თალაკვაძე
ილია ბაბუნაშვილი

ტექნიკური ჯგუფი
მიხეილ ჯაში
დავით შალუტაშვილი

მხატვრული რედაქტორი
ვაჟა სიმონიშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
მანანა დაუშვილი

ფოტო
თამუნა ყულუმბეგაშვილი
გურამ დოლენჯაშვილი

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი:
2 19 60 13; 2 19 60 53.
ელფოსტა: contact@pallitra.ge;
მისამართი: **იოსებიძის, 49.**

ელფოსტა
leloltd@gmail.com (რედაქცია);
lelo@palitra.ge
ინდექსი **66435** INDEX.
სარეკლამო განყოფილება:
237 78 07; 2 23 80 09

კოლორი
დაიბეჭდა სტამბა
კოლორში

რედაქციასთან შეუთანხმებლად
ჟურნალის კუთვნილი
მასალებისა და ფოტოების სხვა
გეჭდვით და ელექტრონულ
საშუალებებში
გამოქვეყნება აკრძალულია

სარჩევი

კვირის 10 მნიშვნელოვანი ფაქტი 4

ოქროს ბურთი 2015.
სამეული ცნობილია 6

ფეხბურთი და კრიმინალი.
როგორ ვებრძოლოთ გარიგებულ მატჩებს? 8

ახლო ხედით.
ისლანდიური სასწაული..... 10

ჭორი თუ მართალი?
პელე, ომი და ბუნდოვანი ისტორია 13

ეძიე ვარსკვლავი შენი.
პოლ სქოულზი. კაცი, რომელიც ცხოვრებამ ვერ გარყვნა 14

შეცდა თუ არა პერესი?
ანუ რას აპირებენ პრეზიდენტი და ბენიტესი..... 16

მფრინავი.
ცოტა რამ დუგლას კოშტაზე ... 18

სიყვარულის ახსნა კობისებურად.
ბრაიანტი კალათბურთიდან მიდის 22

ლეგენდა.
უბრალოდ, კობი... 24

პროფესიული კრივი.
სამი ქამარი შვიდთვიანი ბეთმენისთვის..... 26

მითხარი, საიდან ხარ?
არაბელგიელი ბიჭები ბელგიისთვის! 28

თავისუფალი თემა.
გოლიათები, ანუ ვერცხლი ჰიუსტონიდან..... 30

სახელები.
ვიქტორ კრატასიუკი.
მშობლიურ ფოთს ვერ შეელია..... 34

სკანვორდი 38



ჰიუსტონური ვერსხლი

მრავალფეროვანი კვირეული გვქონდა, სპორტის არაერთ სახეობაზე მოგვიწია წერამ, თუმცა ქართველთათვის ყველაზე სასიამოვნო ამბავი მაინც იაპონიიდან მოვიდა - ძიგარო კანოს პრესტიჟული ტურნირი 1982 წლის შემდეგ ქართველმა პირველად მოიგო. აბა, გამოიცანით, ვინ?

10

ჰემილტონი

2015 წელს, ტიტულის ბედი და კონსტრუქტორთა თასის მფლობელის ვინაობა ვადაზე ადრე გაირკვა - საერთო ჩათვლაში ბადალი არ ჰყავდა ბრიტანელ ლუის ჰემილტონს.

დიდი იმედების მიუხედავად, „ფერარიმ" ვერ შეძლო „მერსედესისთვის" კონკურენციის გაწევა - ვერც აბუ დაბიში და ვერც მთელი სეზონის განმავლობაში. გერმანულმა საჯინიბომ სეზონი ზედიზედ ოთხი დუბლით დაასრულა, როსბერგმა კი კარიერაში მე-14 რბოლა მოიგო, რითიც გაუთანაბრდა გრემ ჰილსა და ჯიმ კლარკს. „მერსედესისთვის" ეს იყო 45-ე გამარჯვება ფორმულა 1-ში.

9

ჯერ ვერ ვლახავთ

ვლახების ბარიერს ჯერ ვერ ვლახავთ. საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა რუმინელების წინააღმდეგ მსოფლიოს ლიგის მესამე ტურში ითამაშა. შეხვედრა თბილისში გაიმართა და თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, თუმცა ბოლოსკენ მცირე უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და ქართველებს გასწრების საშუალება აღარ მისცეს - 13:11 ვლახების სასარგებლოდ.

მსოფლიოს ლიგა თებერვალში განახლდება. საქართველოს ნაკრებს უახლოესი მატჩი 16 თებერვალს, უნგრეთის ძლიერი გუნდის წინააღმდეგ თბილისში ელის. მანამდე კი ევროპის ჩემპიონატია.

8

პარიზისკენ

ფრანგული „ტულონის" ქართველმა მორაგბე მამუკა გორგოძემ, შესაძლოა, ზაფხულში გუნდი გამოიცვალოს. „მონპელიეში" გატარებული 9, ხოლო „ტულონში" ნათამაშები 2 სეზონის შემდეგ, „ბორჯღალოსანთა" კაპიტნის შეძენა მესამე ფრანგულ გუნდს, პარიზულ „მეტრო რასინგს" სურს. ინფორმაციას ამის შესახებ ერთბაშად რამდენიმე ფრანგული წყარო ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ გორგოძეს „ტულონიდან" წასვლა ჯერ კიდევ წინა სეზონის დასრულების შემდეგ სურდა, მაგრამ, საბოლოოდ, პრეზიდენტთან საუბრის შემდეგ დარჩენა გადაწყვიტა.

7

სამნი სიმბოლურში

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მე-9 ტურის სიმბოლურ ნაკრებში სამი ქართველი მოხვდა. მამუკა გორგოძესთან ერთად, საუკეთესოთა შორის დაასახელეს საქართველოს ნაკრების შერკინების ბურჯები - მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე) და ლევან ჩილაჩავა (ტულონი). ასეთია www.rugbyrama-.fr-ის ვერსია.

„მიდი ოლიმპიკმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა საქართველოს ნაკრებისა და „ტულონის" ლიდერი მამუკა გორგოძე.

მიხეილ ნარიაშვილი

ლევან ჩილაჩავა

მამუკა გორგოძე

6

ყაზაიშვილიც 11-ში

ვაკო ყაზაიშვილი ჰოლანდიური მხარის, ხელდერლანდის კვირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. მან სწორედ ამ მხარის დერბიში, „ნაიმეგენის" წინააღმდეგ გაამარჯვებინა არნემის „ვიტესს".

მხარის საუკეთესოობა რა მოსატანია ვაკოს აღიარებასთან, რომელიც ჰოლანდიის ერედივიზიონის კვირის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს. ცხადია, ის ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც შევიდა.

გასული კვირა ვაკოსთვის სხვა მხრივაც გამორჩეული იყო - საქართველოს ნაკრების შემტევს ქალიშვილი შეეძინა.



კვირის 10 ფაქტი

ნახევარ ფინალისკენ

დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასის გათამაშებაში გუნდებმა ნახევარფინალისკენ გაიხედეს. გაიმართა მეოთხედფინალური ეტაპის პირველი შეხვედრები, საპასუხოები 16 დეკემბერს ჩატარდება.

სადღეისოდ, სიტუაცია ასეთია: ნახევარფინალთან ძალიან ახლოს არიან თბილისის „დინამო" და საჩხერის „ჩიხურა". პირველმა ქუთაისში 1:0 მოიგო. მეორემ შინ - 2:0 „შუქურასთან".

„ზუგდიდმა" შინ 1:0 სძლია „ვიტ ჯორჯიას", ხოლო „სამტრედია"-"სიონი" 0:0 დასრულდა. ბოლო ორ წყვილში ჯერ ვერავის მივანიჭებთ უპირატესობას...

5



მე ვამთავრებ!..

კობი ბრაიანტმა გადაწყვიტა: 2015-16 წლების სეზონის შემდეგ საკალათბურთო კარიერას დავასრულებო. ეს რომ მესიმ გაიგო, თავის „ფეისბუქზე" დაწერა:

„ყოველთვის გულდასაწყვეტია, როცა შეიტყობ, რომ სპორტსმენი კარიერის დასრულებას აპირებს. თუმცა კობი მუდამ იქნება ისტორიის წიგნებში როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდებული. სწორედ მისი დამსახურებაა კალათბურთით რომ დავინტერესდი. ყოველივე საუკეთესოს გისურვებ ცხოვრების მომდევნო ეტაპზე, კობი"!..

4

ზაზა 21

ზაზა ფაჩულიას „დალას მავერიქსმა" NBA-ში ფაქტობრივად წაგებული მატჩი შემოატრიალა და როგორც ამერიკელმა მიმომხილველებმა თქვეს, დიდი თამაში მოიგო - „პორტლენდი" 115:112 დაამარცხა.

ფაჩულიამ 38 წუთში 14 ქულა, 21 მოხსნა ჩაიწერა. პორტლენდში ქართველმა ცენტრმა სეზონის მე-12 ორმაგი დუბლი მოაგროვა, თუმცა გაცილებით მნიშვნელოვანი იყო 21 მოხსნა, რაც ზაზას კარიერის რეკორდის გამეორებაა. გასულ სეზონში, 20 მარტს, „ბრუკლინთან" მატჩში სწორედ 21-ჯერ მოხსნა და 22 ქულა ჩააგდო.

3

მესი, რონი, ნეი

ფიფამ გამოაქვეყნა „ოქროს ბურთის" მაძიებელი სამი ფეხბურთელის ვინაობა, რომელთაგან ერთ-ერთი - წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდება 11 იანვარს დაგეგმილ გალადაჯილდოებაზე.

სამეული ასე გამოიყურება: კრიშტიანო რონალდო („რეალი", პორტუგალია), ლიონელ მესი („ბარსელონა", არგენტინა) და ნეიმარი („ბარსელონა", ბრაზილია).

ნაკრების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა, აგრეთვე, ჟურნალისტებმა ხმა უკვე მისცეს თავიანთ რჩეულებს. ბუნებრივია, ფიფასა და „ფრანს ფუტბოლის" ერთობლივ საორგანიზაციო კომიტეტში უკვე იციან გამარჯვებულის ვინაობა, მაგრამ 11 იანვრამდე მხოლოდ ხმების რაოდენობით სამი ლიდერი დაასახელეს.

2

ოქროს ჭრიკი

ავთანდილ ჭრიკიშვილი (81 კგ) ძიგორო კანოს სახელობის ტოკიოს გრან-სლემის ჩემპიონია!

ის მეორე ქართველი გახდა, ვინც ეს ზეპრესტიჟული შეჯიბრება მოიგო - 33 წლის წინ, 1982 წელს, ტოკიოში დავით ბოდაველმა გაიმარჯვა, მას შემდეგ კი, ჭრიკიშვილამდე, ქართველთაგან ეს ვერავინ შეძლო.

მეტსაც გეტყვით, ფინალისტიც მხოლოდ სამჯერ გვყავდა - 1981-82 წლებში ბოდაველმა ზედიზედ იჭიდავა, შარშან კი ფინალამდე ლევან მატიაშვილიც (+100) მივიდა.

ვაჟა სიმონიშვილი

1

ოქროს სამეუღლი ცნობილია

კრიშტიანო რონალდო ორ ბარსელონელთან იბრძოლებს

გუშინ ფიფამ გამოაქვეყნა „ოქროს ბურთის" მაძიებელი სამი ფეხბურთელის ვინაობა, რომელთაგანაც ერთ-ერთი 11 იანვარს წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდება და პრიზს მიიღებს.

სამეული ასე გამოიყურება: კრიშტიანო რონალდო (რეალი, პორტუგალია), ლიონელ მესი (ბარსელონა, არგენტინა) და ნეიმარი (ბარსელონა, ბრაზილია).

ნაკრების მწვრთნელებმა და კაპიტნებმა, აგრეთვე ჟურნალისტებმა ხმა უკვე მისცეს თავიანთ რჩეულებს. ბუნებრივია, ფიფასა და „ფრანს ფუტბოლის" ერთობლივ საორგანიზაციო კომიტეტში უკვე

ი ც ი ა ნ

გამარჯვებულის ვინაობა, მაგრამ 11 იანვრამდე მხოლოდ ხმების რაოდენობით სამი ლიდერი დაასახელეს.

სულ წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად 165-მა ადამიანმა მისცა ხმა ამ გამოკითხვაში. ხმის მიცემის უფლების მქონე კაპიტნებისა და მწვრთნელების 79,7%-მა და ჟურნალისტების - 88,6%-მა.

მაშ ასე, 23-კაციანი სია დავიდა სამ კაცამდე. „რეალის" სუპერვარსკვლავ კრიშტიანო რონალდოს სურს, „ოქროს ბურთი" ზედიზედ მესამედ მოიგოს, მაგრამ „ბარსელონამ" გასულ სეზონში ყველაფერი მოიგო. ამიტომაც, ყველას შეფასებით (მათ შორის რონალდოს) მესი ფავორიტია.

თვალში გვხვდება კიდევ ერთი ბარსელონელის, ლუის სუარესის არყოფნა. 2007 წლის შემდეგ, როდესაც კაკამ იმარჯვა, პრიზს მხოლოდ ორი გამარჯვებული ჰყავს, მესი და რონალდო, არგენტინელისა და პორტუგალიელის მონოპოლიის დარღვევა ბრაზილიელ ნეიმარს სურს.

საუკეთესოს წლის სტატისტიკა

	მესი	რონალდო	ნეიმარი
თამაში	56	52	59
გოლი	48	48	45
პასი	24	14	13

FIFA BALLON D'OR
ყველა გამარჯვებული

2010
1. მესი, 2. ინიესტა, 3. ჩავი

2011
1. მესი, 2. რონალდო, 3. ჩავი

2012
1. მესი, 2. რონალდო, 3. ინიესტა

2013
1. რონალდო, 2. მესი, 3. რიბერი

2014
1. რონალდო, 2. მესი, 3. ნოიერი

■ ■ ■

ასევე დასახელდა წლის მწვრთნელობისთვის მებრძოლი სამეული: ხოსეპ გვარდიოლა (ბაიერნი), ლუის ენრიკე (ბარსელონა), ხორხე სამპაოლი (ჩილეს ნაკრები).

დასახელდა ქალ ფეხბურთელთა სამეულიც: კარლი ლოიდი (აშშ), აია მიამა (იაპონია), სელია შაშიჩი (გერმანია).

დასახელდა პუშკაშის სახელობის პრიზისთვის მებრძოლი სამეულიც. წლის საუკეთესო გოლობაზე იბრძოლებენ: ალესანდრო ფლორენცი („რომა", გოლი „ბარსელონას" კარში), ვენდელ ლირა („გოიანესია", გოლი „ატლეტიკოს" კარში), ლიონელ მესი („ბარსელონა", გოლი „ბილბაოს" კარში).

11 იანვარს გალა-დაჯილდოება ციურიხში გაიმართება და ყველა გამარჯვებულის ვინაობა იმ საღამოზე გამოცხადდება.

ნიკოლოზ ნეფარიძე
გამეთი „ლელო"

რეგორკ

ქართული ფეხბურთი მორიგი სკანდალის პირასაა. ხობში პირველი ლიგის მატჩი პირადად გადადო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა. მიზეზი გარიგების დიდი რისკია.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხინვალის „ლიახვის" ერთ-ერთ ფეხბურთელს ჩვენთვის უცნობმა პირმა დაურეკა და გარკვეული თანხის სანაცვლოდ „კოლხეთთან" თამაშის დათმობა შესთავაზა.

ეს არახალია ჩვენი ფეხბურთისთვის. „ლელო" ამ ჭირზე ადრეც არაერთხელ წერდა. აგერ, სულ ცოტა ხნის წინათ, კმაყოფილება გამოვთქვით იმის გამო, რომ უმაღლეს ლიგაში ასეთი შეხვედრების თაობაზე მიმდინარე სეზონში არ გვსმენია, პირველ და მეორე ლიგებში კი ყველა მეორე მატჩი საეჭვოა.

ქართულ ფეხბურთს არც ამ თემაზე აგორებული ადრინდელი სკანდალები უკვირს. სამაგიეროდ, ის კი გვიკვირს, რომ ჯერაც არ ყოფილა ისე, დამნაშავე სამაგალითოდ დასჯილიყოს.

გარიგებული მატჩები მხოლოდ საქართველოს პრობლემა როდია. ეს მთელი საფეხბურთო მსოფლიოს ჭირია. ისიც კარგად გვახსოვს, რა და როგორ მოხდა იტალიაში - ლამის ნახევარი საფეხბურთო ბომონდი რომ გაერია დიდზე დიდ სიბინძურეში.

მაშინ იტალიელები მართლაც რომ სამაგალითოდ მოიქცნენ. გაიწირა იქაური და მსოფლიო ფეხბურთის გრანდი - „იუვენტუსი", რომელიც სერია B-ში დაქვეითდა. გარდა ამისა, პასუხისგებაში მიეცა „კალჩოპოლის" სკანდალთან დაკავშირებული რამდენიმე პირი.

ვერავინ იტყვის, რომ იტალიურ ფეხბურთში მას შემდეგ მსგავსი სკანდალი აღარ მომხდარა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მასშტაბები და რაოდენობა შემცირდა. რატომ გამოიჩინეს იტალიელებმა ასეთი სიმკაცრე? ვფიქრობთ, პასუხი მარტივია - ყველას ერთხელ და სამუდამოდ უნდა აეღო ხელი ამაზე, ყველას უნდა შეეგნო, რომ ეს უკეთურებაა და, ბოლოს და ბოლოს, შეშინებოდა მაინც.

საქართველოში კი საქმე სულ სხვაგვარად არის. ვინ იცის, მერამდენედ ავფეთქდით ამ ნაღმზე, დასკვნები კი ვერა და ვერ გამოგვაქვს. საქართველო თავისებური ქვეყანაა და ჩვენთან ყველა ყველას მეგობარი თუ ახლობელია.

საქართველოში ფეხბურთელთა უმრავლესობა თვეობით ვერ იღებს ხელფასს და მერე იმ ფეხბურთელის გარიგებაზე დაყოლიება იოლი ხდება. გამოსავალი კი ერთია - ნულოვანი ტოლერანტობა დამნაშავის მიმართ! მანამდე, აუცილებელია თუნდაც ფინანსური სიტუაციის გამოსწორება, მაგრამ თუ ჯერ ფეხბურთი არ გასუფთავდა, იქ არაფერი გამოსწორდება...

უკვე სათვალავიც კი აგვერია, მერამდენე ასეთი შემთხვევა მოხდა ქართულ ფეხბურთში და დღემდე ისეა, დამნაშავეს, რასაც საკადრისი სასჯელი ჰქვია, ერთხელაც არ მიუღია. მეტიც - თუ ისჯებოდნენ, მინიმალურად ისჯებოდნენ და ისიც მხოლოდ „ლიფსიტები", გამოცდილი „ღლავები" კი მშვიდად განაგრძობდნენ ამღვრეულ წყალში თევზის ჭერას.

მე არ მინახავს სკანდალში გახვეული და საკადრისად დასჯილი პიროვნება ქართულ ფეხბურთში და შესაბამისად, არც სხვებს ეყოლებათ ნანახი. არადა, ქართული ფსიქოლოგია ასეთია - რისიც არ გეშინია, იმას აკეთებ და სულ იმედი გაქვს, რომ შეგრჩება.

...ერთხელ, წლების წინათ, ორ გუნდს შორის სავარაუდო გარიგებაზე დავწერე. იმ ორი გუნდის ამბავში ფული საერთოდ არაფერ შუაში იყო. იყო მხოლოდ „გამიშვი-გამატარე" საქართველოს მასშტაბით. ერთ გუნდს საქართველოს თასი უფრო სჭირდებოდა, მეორეს კი - ჩემპიონობა.

საბოლოოდ, ხელმა ხელი დაბანა და ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ამ ორ გუნდს სურდა. დავწერე გაზეთში ამის თაობაზე. გავიდა დრო და გარიგებული მატჩების წინააღმდეგ ბრძოლა ფედერაციამ სამართალდამცავებთან ერთად რომ დაიწყო, დაკითხვაზე „სადაც ჯერ არს", იქ დამიბარეს...

მე და ჩემი ორი თანამშრომელი დილიდან საღამომდე ვიყავით იქ და როცა ჩვენი დაკითხვის ჯერი მოვიდა, მივხვდით, რომ წყალი გვინაყია და მეტი არაფერი. რა არის ეს, რა ვარა-

ვებრძოლოთ გარიგებულ მატჩებს?

„ძალიან მნიშვნელოვან თემას შეეხეთ. ამაზე არაერთხელ მიფიქრია, მით უმეტეს, ადრე ვიყავი სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე... დამნაშავე, არ აქვს მნიშვნელობა, პირველი ლიგიდან იქნება თუ უმაღლესიდან, უნდა მოიკვეთოს ქართული ფეხბურთიდან. დამეთანხმებით, ეს არ არის მხოლოდ ჩვენი სენი და სადაც მეტ-ნაკლებად მოერივნენ ამას, ყველგან დიდი პრინციპულობა და სიმკაცრე დასჭირდათ. „ეს ჩემი მეგობარია", „ის ჩემი ახლობელია" - ამგვარი მიდგომა ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, რადგან საქმე ქართული ფეხბურთის მომავალს ეხება და ეს მომავალი ვერანაირად ვერ იქნება კარგი, თუ ამ ავადმყოფობას ვერ მოვერიეთ".

ბოლომდე ვეთანხმებით ბატონ თენგიზს!..

ალეკო კაკაურიძე

უდების დონეზე წერთო?! - დაახლოებით ამ ტექსტით გამოგვიშვეს იქიდან და პირველად მაშინ მივხვდი, რომ ჟურნალისტს ძალიან გაუჭირდება დამნაშავის, გარიგების მონაწილის გამოაშკარავება...

ჩვენ ვწერთ ვარაუდს და ხელში არ გვიჭირავს ფაქტი. ვარაუდით კი ვერაფერს ამტკიცებ, პირიქით - ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს გადაიკიდებ. დამნაშავე რომ გამოაშკარავდეს, სამართალდამცავების აქტიურობაა საჭირო.

კარგია, თუ ეს პროცესი ერთხელ და სამუდამოდ დაიწყება. კარგია, თუ დამნაშავეები გამოაშკარავდებიან და ისე მკაცრად დაისჯებიან, რომ მერე ამ სიბინძურეს გულში არავინ გაივლებს.

ასეც უნდა მოხდეს, რადგან ეს ხალხი მხოლოდ თანამედროვე, ისედაც ათასი ჭირით მოწამლულ ქართულ ფეხბურთს არ წამლავს. ეს ხალხი მომავალ თაობას გვიფუჭებს. სხვა ქვეყნებში, როგორც წესი, პირველ და მეორე ლიგებში ნიჭიერი ბიჭები ოსტატდებიან, ჩვენთან კი პირველი და მეორე ლიგა თამაშების „გაკეთების" ასპარეზია და მეტი არაფერი.

როგორ ფიქრობთ, ინგლისის მეხუთე თუ მეექვსე ლიგაში ასეთი მდგომარეობა რომ ყოფილიყო, დღეს ჯეიმი ვარდი პრემიერლიგის რეკორდსმენი და ინგლისის ნაკრების ფორვარდი იქნებოდა?! ის თავის ხელით რეცხავდა ჭუჭყიან მაისურას და ხელფასიც ძალიან დაბალი ჰქონდა, მაგრამ მან გაუძლო, მოუმატა და მოიგო.

ასე კი, როგორც აქ არის, ქართული ფეხბურთი ვერ მოიგებს...

დაბოლოს, მოვიყვანთ ციტატას სახელგანთქმული ფეხბურთელის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრის თენგიზ სულაქველიძის ინტერვიუდან. მას ამასწინათ გარიგებულ მატჩებზე დავუსვით კითხვა. აი, რა გვითხრა ბატონმა თენგიზმა:

ისლანდიელი

ექსკლუზიური ინტერვიუ ისლანდიელ თავდამსხმელთან

ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე ისლანდიის ნაკრების მოხვედრა უდიდესი სენსაციაა. გუნდმა საკვალიფიკაციო ეტაპზე თვით ჰოლანდია და თურქეთი ჩამოიტოვა. ეს ხილული სასწაულია - თურმე ხანდახან დავითი გოლიათს მართლაც აჩოქებს...

გიუის ახდენილი ოცნება

ახლახან ისლანდიელთა მოგებაზე საინტერესო წერილს წავაწყდი, სადაც კუნძულელთა მწვრთნელი ჰეიმირ ჰალდგრიმსონი იხსენებდა:

„როცა ჩვენი ნაკრების მთავარ მწვრთნელად შვედი სპეციალისტი ლარს ლაგერბაკი დანიშნეს, ერთად მუშაობას შევუდექით და მან მითხრა - დიდ ტურნირებზე გასვლა შეგვიძლიაო. მაშინ ვიფიქრე, ეს კაცი ნორმალური არ არის-მეთქი. მაგრამ შემდეგ თავადაც დავრწმუნდი მისი სიტყვების სიმართლეში და მუნდიალის პლეი ოფში ხორვატიასთან დამარცხებიდან საჭირო დასკვნები გამოვიტანეთ. ახლა შოკში ვარ! როცა ფეხბურთის თამაშს ვიწყებდი, ამაზე ვერც კი ვიოცნებებდი".

მართლაც, ყველა დიდ წარმატებას თავიდან ურწმუნოთა და პესიმისტთა დიდი არმია გულისმომკვლელი რეაქციით გადაეღობება და გაჰკივის - ეს სიგიჟეა! შემდეგი ეტაპი გამოიხატება ფრაზაში „ისე, არა უშავს!", მაგრამ დიდი რწმენით გაკეთებული საქმის მოთავეს ბოლოს მაინც აღიარებენ - „გენიოსი ყოფილა"!

ისლანდიის ნაკრების 67 წლის შვედმა მწვრთნელმა თავისი გუნდის წარმოუდგენელ წარმატებას უფრო მოკრძალებული და პრაგმატული შეფასება მისცა:

„სინამდვილეში ეს ზღაპარი რეალობად დიდი შრომის შედეგად იქცა".

მოკლედ ისლანდიაზე...

ისლანდია ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში, გრენლანდიასა და სკანდინავიის ნახევარკუნძულს შორის მდებარეობს - ზუსტად არქტიკული ზოლის ზემოთ. მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში 177-ე ადგილზეა (321 857) და სულ 6 ქალაქია, სადაც 17 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

ნორვეგიელი მიგრანტების მიერ IX საუკუნის ბოლოს დასახლებულ კუნძულზე ამაყობენ, რომ X საუკუნეში შეიქმნა ევროპაში ყველაზე ძველი პარლამენტი (ალტინგი), 1000 წელს კი ქრისტიანობა მიიღეს. რეიკიავიკი მსოფლიოს ყველაზე ჩრდილოური დედაქალაქია, ხანდახან კი გრენლანდიიდან აისბერგებით მოგზაური თეთრი დათვებიც სტუმრობენ ხოლმე.

საინტერესოა, რომ კუნძულზე მაუწყებლობს 14 ტელეარხი, 20-მდე ინტერნეტპროვაიდერი, 263 980 ჰოსტი და ინტერნეტქსელის 200 300(?!) აქტიური მომხმარებელია.

...ჩვენთან საშუალო გასამრჯელო 300-500 ევრო იყო. მაგრამ, მას მერე, რაც ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, ხელფასები საგრძნობლად გაიზარდა. ყველა ცდილობს, თავი წარმოაჩინოს და არნარ გუნლაუგსონის ყურადღება მიიპყროს...

ეკონომიკურად, ევროპულ ქვეყნებში ისლანდია ერთ-ერთი მოწინავეა: 2014 წლის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი 36 ათას დოლარს შეადგენდა, ანუ თვეში ისლანდიელი საშუალოდ 3000 დოლარს იღებს. ცნობისთვის, საქართველოში ეს ციფრი ოფიციალურ საერთაშორისო მონაცემებში 303 დოლარია (ანუ წელიწადში - 3600 დოლარი), რაც გადაჭარბებულად გვეჩვენება.

ლავარაკია ქვეყანაზე, სადაც ბუნებრივი რესურსები საკმაოდ მწირია, სოფლის მეურნეობას ჩვენნაირი ნოყიერი ნიადაგი არ აქვს, პოპულარული კერძი კი ჰაკარლია, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ზვიგენის გამომშრალი ხორცია. მეურნეობის დიდი ნაწილი თევზის მოპოვებასა და მის გადამუშავებას ეფუძნებოდა. სხვათა შორის, პორტუგალიელი

ი სასწაული

ვარსკვლავი, კრიშტიანო რონალდო ქაშაყის დიდი მოყვარულია და მას ისლანდიიდან ამარაგებენ, სადაც მხოლოდ ბოლო წლებში აამოქმედეს ალუმინისა და რკინის გადამამუშავებელი წარმოებები, რომელშიც ჰიდრო და გეოთერმულ ენერგიას იყენებენ.

ამ კუნძულზეა ვულკანები, ჩანჩქერები, გეიზერები, ვულკანური წარმოშობის ტბები (200-მდე ვულკანი და გეიზერია), ანუ ვულკანურად და გეოთერმულად აქტიური რეგიონია და მისი უდიდესი ნაწილი საცხოვრებლად უვარგისია, ისლანდიის ტერიტორიის 10%-ზე მეტი კი ყინულითაა დაფარული. ამაზე მისი სახელწოდებაც (Island, Lydhveldidh - ნიშნავს „ყინულოვან ქვეყანას") მეტყველებს, რაც წარმოდგება „მიწის ყინულოვანი საფარისგან". მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ჰავა არც თუ ისე მკაცრია და ისე არ ცივა, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია. ამას ოკეანის თბილი დინება განაპირობებს.

2007 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ისლანდია მსოფლიოს საუკეთესო საცხოვრებელ ქვეყნად აღიარა.

ისლანდიური ფეხბურთის აღმავლობა

უნდა ვივარაუდოთ, რომ ფიფა მალე ისლანდიას აღიარებს ქვეყნად, სადაც ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე კარგ მოთამაშეებს ზრდიან - ასეთი პატარა მოსახლეობის მქონე სახელმწიფო ხომ ევროპის ჩემპიონატზე არასოდეს მოხვედრილა.

საინტერესოა, რომ 320-ათასიან ისლანდიაში ოფიციალურად 21 ათასი ფეხბურთელია რეგისტრირებული, მაშინ, როცა 4-მილიონიან საქართველოში ეს ციფრი მხოლოდ 12 ათასია(?!) არადა, კუნძულელ ფეხბურთელთა უმრავლესობა მოყვარულია.

იოჰან გუდმუნდსონი

...ბუნებრივია, პარალელურად მუშაობა ბევრს გვიწევდა. ამიტომ ყველა ადგილობრივი ფიქრობს, სელექციონერების ყურადღება მიიპყროს და ევროპის შედარებით მდიდარ კლუბში მოხვდეს. მათ შორის ვიყავი მეც და გამიმართლა კიდეც...

სხვათა შორის, ისლანდიელებმა ნაკრებზე პირველი სიმღერა - Afram island! („წინ, ისლანდია"!) 2013 წელს დაწერეს, როცა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი ოფში მოხვდა. ანუ ჯერ იყო საქმე, მერე კი - სიმღერა და „პიარი".

ვფიქრობ, დაგაინტერესებთ ისლანდიური ფეხბურთი და მასთან დაკავშირებული ისტორიები. ისლანდიის ფეხბურთის ასოციაციის (KSI) მთავარი სპონსორი ნავთობკომპანია №1 გახლავთ. თავის მხრივ, მას პარტნიორული კავშირი აქვს ასოციაციის გენერალურ სპონსორ ICELAND AIR-თან, რომელიც სახელმწიფო კომპანიაა და ისლანდიის საფეხბურთო ასოციაციას ეხმარება.

2008 წლამდე ამ კომპანიის უშუალო დაქვემდებარებაში 40-მდე ბორტი იყო. სასპონსორო თანხის გარეშე ორგანიზაციის წლიური მოგება 2 მილიარდ ევროს უტოლდება. ცნობისთვის: ეს ავიაკომპანია შორეულ პერიოდში პატარა ქალაქ აკიურეირში დაარსდა, დედაქალაქში კი ბინა 60-იან წლებში დაიდო. ნიშნად მადლობისა, აკიურეირის მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად კომპანიისგან საჩუქრის სახით 20 მილიონ კრონას იღებს, რომლის ნაწილი საფეხბურთო კლუბსაც ხმარდება.

ისლანდიის ასოციაციამ ააშენა 27 ხელოვნურსაფარიანი სტადიონი (მათ შორის - 7 დარბაზი), სულ კი მოედნების რაოდენობის 100-მდე გაზრდას აპირებს. სხვათა შორის, უმრავლესობა უეფასა და ფიფას დახმარებების ნაყოფია.

გასულ წელს №1-ის სასპონსორო თანხიდან ასოციაციამ კლუბებს გარკვეული თანხები დაურიცხა. საგულისხმოა, რომ მაღალბიუჯეტიან კლუბებს პროცენტულად მცირე ბონუსი ერგოთ, თანხის უმეტესობა კი მე-4 და მე-5 (რეგიონალური) ლიგების კლუბებმა აითვისეს. ანუ ისლანდიაში საფუძვლების გაძლიერებაზე ფიქრობენ და არა - ფასადის რემონტზე.

კლუბების დაფინანსება

საინტერესო იქნება პეპსილიგის (ისლანდიის უმაღლესი ლიგა) მონაწილე „კეფლავიკის" ამბავი. კლუბი მუნიციპალურ დაქვემდებარებაშია და მისი ბიუჯეტი 1 920 000 ისლანდიურ კრონას (დაახლოებით, 14,521 მილიონ დოლარს) შეადგენს. მაგრამ საფეხბურთო კლუბი აქედან მხოლოდ 51,200 მილიონ კრონას (დაახლოებით, 387 ათასი დოლარი) იღებს და მისი ნაწილიც გადასახადებზე მიდის. დანარჩენი სახსრები სხვა სახეობებზე (ხელბურთი, ტაეკვონდო, კალათბურთი, ზამთრის სახეობები) იხარჯება.

საინტერესო ფაქტია, რომ კლუბში საკმაოდ დაბალი ხელფასებია. მისი მმართველი (ფეხბურთში) ამავე დროს არის ტრანსფერ-მენეჯერი, სპორტული დირექტორი და პრეს-ატაშე. კლუბის საშინაო თამაშებს ათასამდე მაყურებელი ესწრება. ბილეთის ფასი 1 300 კრონაა (9,8 დოლარი), რაც მთლიანად ფეხბურთის განვითარებას ხმარდება.

ისლანდიის ასოციაციის სპონსორი ICELAND AIR კლუბს მთლიანად უფარავს შორ მანძილზე ტრანსპორტირების ხარჯს. ტელევიზიები, მოქმედი ხელშეკრულებების საფუძველზე, ფლობენ „კეფლავიკის" საფეხბურთო და ხელბურთის კლუბების საშინაო მატჩების ტრანსლირების უფლებას.

თავად ქალაქ კეფლავიკის მოსახლეობა ლანჩხუთისას ოდნავ აღემატება და მხოლოდ 9 ათასს შეადგენს.

19-წლამდელთა ლიგაში კეფლავიკის და მისი ოლქის, ნიარდვიკის, საფეხბურთო გუნდი ერთად გამოდიან და ერთიანი ბიუჯეტი აქვთ. „კეფლავიკის" გახმაურებული ტრანსფერი გახლავთ ისლანდიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელის, ელიას ომარსონის ნორვეგიულ „ვალერენგაში" გადასვლა. ის ლაგერბაკმა ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში დაასახელა.

ურიგო არ იქნება, გადავხედოთ რანგით დაბალ ლიგაში მოასპარეზე ერთ-ერთ კლუბს, ჰაფნაფიორდურის „ჰაუკარსაც". პატარა ქალაქის საფეხბურთო კლუბს საკმაოდ მოკრძალებული, მაგრამ სტაბილური წლიური ბიუჯეტი აქვს - 130 ათასი ევრო. ძირითადი შემოსავალი ხელბურთშია და ის ფეხბურთსაც ხმარდება: ტელესააგენტო INTER SPORT-ს (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის კარგად ნაცნობი ტელესააგენტოა) ხელბურთის კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს.

საქართველოში? სიამოვნებით ვითამაშებდით!

„ლელომ" მეგობრების დახმარებით მოახერხა და „ვალერენგას" ისლანდიელ ფორვარდ ელიას ომარსონს ინტერვიუ ჩამოართვა.

- თქვენი ქვეყანა ყინულისა და თოვლის ასოციაციას იწვევს. საინტერესოა, რეალურად რა პირობებში იზრდებიან ისლანდიელი ფეხბურთელები?

- პირადად მე „კეფლავიკში" ვთამაშობდი. ეს არ არის მდიდარი კლუბი, მაგრამ კარგი ხელოვნური მოედნები და დარბაზები გვაქვს, სადაც ზამთარშიც ვვარჯიშობთ.

- ვიცით, რომ ბევრი ისლანდიელი მოთამაშე მეთევზე და მსგავსი პროფესიისაა...

- ბუნებრივია, პარალელურად მუშაობა ბევრს გვიწევდა. ამიტომ, ყველა ადგილობრივი ფიქრობს, სელექციონერების ყურადღება მიიპყროს და ევროპის შედარებით მდიდარ კლუბში მოხვდეს. მათ შორის ვიყავი მეც და გამიმართლა კიდეც. ახლა ვიშრომებ იმისთვის, რომ მომავალში ნორვეგიიდან კიდევ უფრო მაღალი დონის კლუბში გადავიდე. ძირითადი მიზანი მაინც ინგლისის პრემიერლიგის გუნდების დაინტერესებაა.

- კლუბებს რა სისტემით აფინანსებენ?

- ეს ისლანდიური ფეხბურთის თავისებურებაა, რომ ამა თუ იმ ლიგიდან დაქვეითებული კლუბისადმი ყურადღება კი არ იკლებს, პირიქით - მეტი ინტერესი ჩნდება.

- საინტერესოა, ისლანდიაში საშუალოდ ფეხბურთელებს რა ხელფასები აქვთ?

- საშუალოდ 500 ევრო, 700 კარგია, 1000-ზე მეტი კი საუცხოოდ ითვლება.

- ამხელა ხელფასებს საქართველოშიც იხდიან და რას ფიქრობთ, გამორჩეული ისლანდიელი მოთამაშეები ჩამოვიდოდნენ ჩვენთან სათამაშოდ?

- ადრე 700 ევროდ ბევრი წამოვიდოდა, ახლა კი 2 ათასზეც დაფიქრდებიან, რადგან ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შემდეგ ხელფასები გაიზარდა. 1500 ევრო რომ გადაუხადონ, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მოთამაშე ჩამოვა, 3 ათასად კი, საქართველო ხარისხიან ისლანდიელს მიიღებს, რომელიც ნაკრების კანდიდატია, მაგრამ უცხოეთში არ თამაშობს. თუმცა ახლა, საბედნიეროდ, ისლანდიელებზე დიდი მოთხოვნაა და ძლიერი ახალგაზრდა თაობაც მოდის.

- საქართველოს ნაკრებზე რა გსმენიათ?

- გერმანიასთან თქვენს მატჩს ვუყურე და საქართველო საკმაოდ მომეწონა.

ისლანდიის ნაკრების 67 წლის შვედმა მწვრთნელმა ლარს ლაგერბაკმა თავისი გუნდის წარმოუდგენელ წარმატებას უფრო მოკრძალებული და პრაგმატული შეფასება მისცა: „სინამდვილეში ეს ზღაპარი რეალობად დიდი შრომის შედეგად იქცა".

- ისლანდიური პრესის ცნობით, ლარს ლაგერბაკი ევრო 2016-ის დაწყებამდე ამხანაგურ შეხვედრებში შანსს თქვენც მოგცემთ...

- მეც ამის იმედი მაქვს. ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა უდიდესი შანსი იქნება და შესაძლოა, კარიერაში მეტს მივაღწიო. დანარჩენი მწვრთნელის გადასაწყვეტია.

ისლანდიელი არბიტრი: პირველად ვიტ ჯორჯიას ვუმსაჯე

„ლელო" დაუკავშირდა ისლანდიელ ფიფას არბიტრ იოჰან გუდმუნდსონს და მისგანაც არანაკლებ საინტერესო ინფორმაციები შეიტყო:

- საქართველოდან ბრძანდებით? ვიცი ეს ქვეყანა... უეფამ საერთაშორისო თამაშზე პირველად სწორედ ქართული კლუბის თამაშზე დამნიშნა: მაშინ „ვიტ ჯორჯიას" მატჩი ვიმსაჯე.

- ისლანდიის წარმატება ყველასთვის მოულოდნელი იყო...

- ბუნებრივია, არავინ ელოდა, საფრანგეთის საგზურს თუ მოვიპოვებდით. მართალია, ისლანდიელები სულ რაღაც 320 ათასი ვართ, მაგრამ ფეხბურთი ძალიან გვიყვარს.

- როგორც შევიტყვეთ, ქვეყნის გუნდები ფინანსური სიძლიერით არ გამოირჩევიან და დაბალი ხელფასებია...

- ჩვენთან საშუალო გასამრჯელო 300-500 ევრო იყო. მაგრამ, მას მერე, რაც ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, ხელფასები საგრძნობლად გაიზარდა. ყველა ცდილობს, თავი წარმოაჩინოს და არნარ გუნლაუგსონის ყურადღება მიიპყროს. ის იყო „ბოლტონის", „ლესტერის", „სტოკისა" და, რაც მთავარია, ჩვენი ნაკრების ყოფილი მოთამაშე. დღეს საფეხბურთო აგენტია და სხვა ქვეყნის კლუბებში ბევრი ჩვენებურის დასაქმება მისი დამსახურებაა. ის ახლა „ლესტერის" აგენტია, ფეხბურთელებს ხელფასებიდან მხოლოდ 10 პროცენტს ართმევს, რაც 150-დან 1500 ევრომდე მერყეობს. მისით ყველა კმაყოფილია, ყველა ისლანდიელი მისი კლიენტია.

- სულ ისლანდიის ასოციაციაში რამდენი ადამიანია დასაქმებული?

- რაც ვიცი, რეგიონებსა და კლუბებში 200-მდე ჩინოსანი მუშაობს...

მერაბ მამულაშვილი

ᲞᲔᲚᲔ, ᲝᲛᲘ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ

„ის სეზონი ბრაზილიელთათვის კარგად ცნობილი, მაგრამ დღემდე ბუნდოვანი ტურით დაიწყო. ტურით, რომლის გარშემო იმდენი სინამდვილე თუ ლეგენდა ითქვა, რომ მათ შორის ზუსტი საზღვრის პოვნა უკვე შეუძლებელია", - „სანტოსის" ალმანახის ავტორი, პროფესორი გილერმე ნასიმენტო.

ეს გახლავთ ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ შეაჩერეს პელემ და მისმა კლუბმა „სანტოსმა" 48 საათით ნიგერიის სამოქალაქო ომი. ნეტავ, მართლია? რა უნდოდა პელეს ნიგერიაში? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად იმ პერიოდის ანუ 1969 წლის ცნობარები და გაზეთებია შესასწავლი. მანამდე კი, წარმოდგენა რომ გვქონდეს, რაზე ვლაპარაკობთ, ორიოდ სიტყვით ნიგერიის სამოქალაქო ომი გავიხსენოთ...

შინააშლილობას, რომელსაც მეორენაირად ნიგერიისა და „ბიაფრას ომი" დაარქვეს, მილიონი ადამიანი შეეწირა. სამხედრო მოქმედებების გარდა, მათი სიკვდილის მიზეზი შიმშილი იყო, რადგან ორწელიწად-ნახევრის განმავლობაში ორივე მხარის შეიარაღებულმა დაჯგუფებებმა ბევრ დასახლებულ პუნქტს მოუწყვეს ბლოკადა. ომის მიზეზი იყო იგბოს ტომების დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა. მათ ნიგერიისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და თავს „ბიაფრას რესპუბლიკა" უწოდეს. კონფლიქტის შესახებ ამაზე ღრმად აღარ ვილაპარაკებთ, უბრალოდ ვიტყვით, რომ ყველაფერი 1970 წლის 15 იანვარს, ნიგერიის ტერიტორიული, იურიდიული და ფაქტობრივი მთლიანობის აღდგენით დასრულდა...

ლაგოსის მატჩი

1969 წლის იანვარში ბრაზილიის სან პაულუს შტატის ქალაქ სანტოსის (სან პაულუდან 80 კილომეტრში მდებარეობს) კლუბმა, „სანტოსმა", აფრიკაში კომერციული ტური მოაწყო. ტური მოიცავდა ამხანაგურ თამაშებს კონგოში, ნიგერიაში, მოზამბიკში, განასა და ალჟირში. ეს ის პერიოდია, როცა „სანტოსის" საუკეთესო ფეხბურთელის, პელეს სახელი მსოფლიოს აზანზარებს და, ბუნებრივია, ის კომერციული ტურნეს მთავარი ფიგურაა - ხალხი სტადიონზე მის სანახავად უნდა მისულიყო.

ამ დროისთვის პელე უკვე გახლდათ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და შემდეგ წელიწადს, მექსიკაში, მესამე, ყველაზე შთამბეჭდავი ტრიუმფისთვის ემზადებოდა. სწორედ პელეს ფაქტორი განაპირობებდა ბილეთების მაღალ ფასსაც - ყველას უნდოდა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი თავისი ქალაქის სტადიონზე, თავისი საყვარელი გუნდის წინააღმდეგ ენახა. ჯიბეზე ხელის გაკვრას არავინ ერიდებოდა.

ნიგერიის უდიდესი ქალაქის, ლაგოსის (დედაქალაქი აბუჯაა) საერთაშორისო აეროპორტში „სანტოსი" 26 იანვარს, კვირა დილას ჩაფრინდა. თამაში იმავე დღეს, შუადღისას იყო დანიშნული. ბრაზილიური გუნდი მაშინ ჯერ კიდევ „მწვანე არწივებად" (მოგვიანებით უკვე „სუპერარწივებად") წოდებული ქვეყნის ეროვნულ გუნდს უნდა შეხვედროდა. 28 წლის პელეს ადგილობრივი ჟურნალისტებისა და ოფიციალური პირების განსაკუთრებული ყურადღება ხვდა წილად. ნიგერიაში ჩასვლამდე „სანტოსმა" კინშასაში კონგოს ნაკრებთან, „ლეოპარდებთან" წააგო - 2:3.

ლაგოსის მატჩის ორგანიზატორი გახლდათ მასპინძელი ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია, რომელიც სანტოსელებს 11 000 ნიგერიულ გირვანქას დაჰპირდა - ნიგერიული გირვანქა ბრიტანულის ტოლი იყო.

პელესა და „სანტოსისადმი" უდიდესი ინტერესის მიუხედავად, გაზეთი „ნაიჯერიან დეილი თაიმზი" წერდა, რომ მაშინ, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, გართობასა და სანახაობაში ამხელა თანხის გადაყრა სწორი არ იყო.

ბელადმა ოსულამ, რომელიც ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი იყო, განაცხადა, რომ „სანტოსის" ჩაყვანაში გადახდილი თანხა ჰაერიდან არ მოსულა. მან პრესკონფერენცია მოაწყო და განმარტა, რომ თუკი პელესა და მისი ბრაზილიური კლუბის თამაშების საერთაშორისო ნიხრს დააკვირდებიან, ნახავენ, რომ მათი ლაგოსში სტუმრობა შეღავათიან ფასად მოხერხდა. ოსულამ დასძინა, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ გართობა კი არ არის, არამედ ის ნიგერიული ფეხბურთისთვის დიდ სარგებელს მოიტანდა - ფეხბურთელები ცოცხლად ნახავდნენ პელეს თამაშს და ბევრსაც ისწავლიდნენ.

საბოლოოდ, მატჩი შედგა და ფრედ 2:2 დასრულდა. „მწვანე არწივთაგან" გოლები გაიტანეს მუიავა ოშოდემ და ბაბა ალიმ, „სანტოსიდან" კი ორივე პელემ შეაგდო. ლაგოსის სტადიონზე შეკრებილი მაყურებელი კმაყოფილი დარჩა.

გაგრძელება 32-ე გვერდზე

კაცი, რომელიც ცხოვრებამ ვერ

ოხერი რამ არის ფეხბურთი, ნებისმიერ გემოვნებას აკმაყოფილებს. ამიტომაც კამათობენ გულშემატკივრები, მწვრთნელები, თავად ფეხბურთელები. ყველა ცდილობს თავისი შეაქოს.

არიან ვარსკვლავები, რომლებიც თვალში გეცემიან. მაგალითად, რა დიდი დაკვირვება და ფეხბურთის წლობით ყურება უნდა იმის მიხვედრას, რომ ლეო მესი ძალიან ძლიერი ფეხბურთელია? მაგრამ, არიან სხვა ტიპის მოთამაშეებიც. მათ ასე იოლად, „დახუჭული თვალებით" ვერ დაინახავ. ასეთი იყო, მაგალითად, „ტიკი-ტაკას" ვირტუოზი-მწვრთნელი პეპ გვარდიოლა...

2000 წელს ბედის წყალობით ევროპის ჩემპიონატზე მოვხვდი და ესპანეთის ნაკრების რამდენიმე თამაშს დავესწარი. სწორედ მაშინ აღმოვაჩინე, რომ თურმე, ტელევიზორში, გვარდიოლას უნარების მხოლოდ ნახევარი ჩანს. ვიჯექი ტრიბუნაზე და ექსპერიმენტს ვატარებდი: როცა ესპანელები მეტოქეს შეუტევდნენ, მზერას ბურთიან კაცს კი არ ვაყოლებდი, არამედ „გვარდიოლასთან ვრჩებოდი" და ვხედავდი, რომ ის, ხშირად, ერთი შეხედვით ლოგიკას მოკლებული მიმართულებით მიდიოდა, უცნაურ პოზიციას იკავებდა. მერე კი მოვლენები ასე ვითარდებოდა: თუ მეტოქე ბურთს მოიხელთებდა და თავის შეტევას წამოიწყებდა, პასს ზუსტად იქით აწოდებდა, სადაც უკვე კარგა ხნის ჩასაფრებული გვარდიოლა იდგა. და ისევ ესპანელები უტევდნენ...

თავისებური ფეხბურთელი იყო „მანჩესტერ იუნაიტედისა" და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი პოლ სქოულზიც. მავანს, ვისაც მოთამაშის აღიარებისთვის მაინცდამაინც დრიბლინგი ან მაკრატელა სჭირდება, შესაძლოა ეთქვა - დიდი არაფერიო, მაგრამ ნამდვილი ვარსკვლავი გახლდათ. ცხადია, ბევრისთვის ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ, მოდი, ამჯერად ნუ ვიკამათებთ. მარტივად მოვიქცეთ: საფეხბურთო სამყაროს დიდი წარმომადგენლების მიერ სხვადასხვა დროს ნათქვამი ფრაზები გადავიკითხოთ. დანარჩენი კი სხვა დროს იყოს...

სერ ალექს ფერგიუსონი: „ის იყო ერთ-ერთი უდიდესი საფეხბურთო ინტელექტი, რომელიც ოდესმე ჰყოლია „მანჩესტერ იუნაიტედს".

როი კინი: „სელებრითული ნეხვი მას არ შეხებია და თავის წარმოჩენაზე წუთიც არ დაუხარჯავს. სქოულზი იყო საოცრად ნიჭიერი ფეხბურთელი და ადამიანი, რომელიც ცხოვრებამ ვერ გარყვნა".

ოლე გუნარ სოლსკიაერი: „ის არ არის ყველაზე სწრაფი, ის არ დარბის ყველაზე მეტს, ის ვერასდროს იგებს საჰაერო ორთაბრძოლას, ის ვერ იმარჯვებს ფიზიკური შეჯახებისას, მაგრამ... ის საუკეთესო ფეხბურთელია".

რიო ფერდინანდი: „ჩემთვის საუკეთესო პოლ სქოულზია. ვარჯიშებზე ძალიან გვახალისებდა. მაგალითად, დაგვანახებდა 40 მეტრით დაშორებულ ხეს და გვეტყოდა: „ეხლა მე მას ბურთს გავარტყამ"! და მართლაც არტყამდა. „მანჩესტერ იუნაიტედში" ყველას ის მიაჩნდა საუკეთესოდ".

ლორან ბლანი: „ვინც მკითხავს, ყველას ვუპასუხებ, რომ პოლ სქოულზი საუკეთესო ინგლისელი ფეხბურთელია".

ზინედინ ზიდანი: „ჩემი ყველაზე დიდი მეტოქე? პოლ სქოულზი „მანჩესტერ იუნაიტედიდან". როგორც ნახევარმცველი, ის სრულყოფილია. სქოულზი უდავოდ თავისი თაობის უდიდესი ნახევარმცველია".

მარჩელო ლიპი: „პოლ სქოულზი ჩემი იდეალური გუნდის ერთ-ერთი მთავარი წევრი იქნებოდა. ვფიქრობ, ამ სიტყვებიდან კარგად ჩანს, რამდენად ვაფასებ მას. ის არის უნივერსალური, მაღალი კლასის ნახევარმცველი, რომელსაც მოჭარბებულად აქვს მებრძოლი ხასიათი".

კევინ კიგანი: „ის, რაც აქვს „მანჩესტერ იუნაიტედს" და არ აქვს „ჩელსის", გახლავთ პოლ სქოულზის კლასი. სქოულზი ინგლისურ ფეხბურთში ყველასგან და ყველაფრისგან განსხვავდება".

სერ ბობი ჩარლტონი: „ყოყმანის გარეშე დავარქმევ სახელს ყველაფერ საუკეთესოს, რასაც ფეხბურთში ვეძებ. ეს არის პოლ სქოულზი. „მანჩესტერ იუნაიტედის" მაისური ბევრ დიდ ფეხბურთელს ჩაუცვამს. ბიჭები, რომელთაც მე ვეთაყვანებოდი, ახალგაზრდობაში, მიუნხენში, ავიაკატასტროფაში დავკარგე. შემდეგ იყვნენ დენის ლოუ და ჯორჯ ბესტი, ჩემი საუკეთესო თანაგუნდელები, დღეს კი ალექს ფერგიუსონის ეპოქის მოთამაშეები ბრწყინავენ... და აი, ამდენ ფეხბურთელს შორის საუკეთესო პოლ სქოულზია. მიყვარს მისი გონიერება და თავდადება, რომელთა წყალობითაც ის გამარჯვების გზას პოულობს: აწვდის საგოლე პასს ან საბედისწერო გოლი გააქვს. როდესაც მატჩი გადამწყვეტ ფაზაში შედის, სქოულზის საუკეთესო თვისებები მისი ორგანიზმის ყოველი უჯრედიდან იწყებენ გადმოღვრას. ის მუდამ ბურთთანაა, მუდამ გოლს ეძებს, მუდამ იყოლიებს თანაგუნდელებს, ხოლო თუ ბურთს კარგავს, უნდა მიხვდეთ, რომ ავად არის".

ჟოზე მოურინიო: „სქოულზი დიდი, ძალიან დიდი ფეხბურთელია. ასაკის მიუხედავად, ჩემთვის ის მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია. ბედნიერია „მანჩესტერ იუნაიტედი" რომ პოლ სქოულზი ჰყავს".

ჩაბი ალონსო: „მაისურას, რომელიც ოდესღაც პოლ სქოულზს გავუცვალე, დღემდე შინ ვინახავ. „ლივერპულში" რომ ვთამაშობდი, ის გახლდათ ფეხბურთელი, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემდი. ვფიქრობ, ის ინგლისში საკადრისად ვერ დააფა-

გარყვნა

სეს და ამას ორი მიზეზი აქვს - ინგლისური ფეხბურთის სტილი და თავად სქოულზის მოკრძალებული ბუნება. ესპანეთში რომ ეთამაშა, გაცილებით პოპულარული იქნებოდა, რადგან ამ ქვეყანაში სქოულზისნაირი ნახევარმცველები იდეალური ფეხბურთის ნაწილს ქმნიან. ესპანელ გულშემატკივარს სქოულზი დღესაც უყვარს".

არსენ ვენგერი: „მან ვერ მიიღო ის, რაც ეკუთვნოდა, რადგან „მედიის ლომი" არ არის. ის არ განეკუთვნება იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ყველა ღონეს ხმარობენ, რომ გაზეთებში მოხვდნენ. ამისთვის მე მას უდიდეს პატივს ვცემ".

რაიან გიგზი: „მე ვიბრძოლებ, რომ სქოულზი „მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელონ. მისი შესრულებით ისეთი რამ მინახავს, რასაც სხვა ფეხბურთელები ვერ აკეთებენ. ენით ვერც აღწერ, როგორ ეხერხება მას თამაშის ტემპის კონტროლი და საოცარი პასების გადაწოდება. მისი გოლების დავიწყებაც შეუძლებელია".

ჩავი: „პოლ სქოულზი მისაბაძი ფეხბურთელია. გულწრფელად გეუბნებით, ასეთი ნახევარმცველი ბოლო 15-20 წელიწადია, არ ყოფილა. მის შესახებ ჩაბი ალონსოსთან მილაპარაკია. სქოულზს ყველაფერი აქვს: საგოლე პასი, ძალა, ბურთის ფლობა, მოედნის ხედვა. ესპანელი რომ ყოფილიყო, უპოპულარულეს ვარსკვლავთა შორის დაასახელებდნენ".

ლუიშ ფიგუ: „პოლ სქოულზს რომ ვხედავ, აღფრთოვანების გრძნობა მეუფლება. მე ხომ ვარსკვლავს ვუყურებ. არადა, მოედანზე შეუმჩნეველია და თამაშის მერე ხომ საერთოდ იპარება".

ლიონელ მესი: „ლა მასიაში" ფეხბურთის თამაშს რომ გვასწავლიდნენ, „სქოულზი" ხშირად მესმოდა. ის მასწავლებელია".

პელე: „ის რომ ჩემი თანაგუნდელი ყოფილიყო, გაცილებით მეტ გოლს გავიტანდი".

პეპ გვარდიოლა: „მანჩესტერ იუნაიტედის" ყველა ფეხბურთელიდან მე პოლ სქოულზს ავირჩევდი. ის თავისი თაობის საუკეთესო ნახევარმცველი იყო. სიამოვნებით ვითამაშებდი მასთან ერთად".

კრიშტიანო რონალდო: „სქოულზი საუკეთესოა მათ შორის, ვისთანაც მითამაშია. ახალგაზრდა რომ ვიყავი, მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ის საუცხოო იყო".

ჟერარდ პიკე: „ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, ვინც ცხოვრებაში მინახავს, იყო პოლ სქოულზი. ვარჯიშზე შესანიშნავი სანახავი იყო. მის მხარდამხარ თამაში დიდი სიამოვნება იყო".

გარი ნევილი: „მისი ნიჭის დასახასიათებლად საუკეთესო მაგალითს მოვიყვან. „მანჩესტერ იუნაიტედში" ყოველთვის ვვარჯიშობდით ბურთის ფლობასა და ერთმანეთისთვის პასების გადაწოდებაში. ორ გუნდად გვყოფდნენ, ხან სამი-სამზე ვეჯიბრებოდით ერთმანეთს, ხან ექვსი-ექვსზე, ხან კიდევ ცხრა-ცხრაზე... მაგრამ რაოდენობას მნიშვნელობა არ ჰქონდა, აუცილებლად იმარჯვებდა გუნდი, რომელშიც სქოულზი თამაშობდა".

პატრიკ ვიეირა: „ფეხბურთელი პრემიერლიგაში, რომელსაც ყველაზე დიდ პატივს ვცემდი? იოლი საპასუხოა - პოლ სქოულზი".

ილო ბაბუნაშვილი

შეცდა

ფლორენტინო პერესი
და რაფაელ ბენიტესი

თუ არა პერესი?

ამას წინათ „რეალის" დირექტორთა საბჭომ სრული ნდობა გამოუცხადა რაფა ბენიტესს. ესპანელი სპეციალისტი აგრძელებს მუშაობას მადრიდული კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე. არადა, „ბარსელონასგან" ნაწვნევი უმწარესი მარცხის შემდეგ რაფას ბედი გადაწყვეტილი ჩანდა...

რამდენიმე ცნობილმა მწვრთნელმა კი უკვე მოიზომა „რეალის" სკამი. მაგალითად, უმუშევარმა კარლო ანჩელოტიმ, ვინც მადრიდში კარგი პერიოდი გაატარა და გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაც მოიგო. ლიგა, რომლის გემოც „რეალს" უკვე დავიწყებული ჰქონდა...

მოკლედ, უფროსობამ ასე გადაწყვიტა და რაფა დარჩა. აბა, „რეალიდან" თავისი ნებით ვინ მიდის?! დარჩა, თუმცა რამდენ ხანს დარჩა, მამაზეციერმა უწყის. გამოცხადებული ნდობა ულიმიტო არ არის და ესპანელს მისი შენარჩუნება ბოლომდე ძალიან გაუჭირდება.

მაინც, რატომ განსაჯა ასე „რეალის" შეფობამ? საქმე ისაა, რომ სოლიდური გუნდები ძალიან ერიდებიან სეზონის მიმდინარეობისას მწვრთნელის შეცვლას. მით უმეტეს მაშინ, როცა ჯერ პირველი წრეც არ დასრულებულა. ასეთ შემთხვევაში რისკი ძალიან დიდია.

ფეხბურთელებს ახალ დამრიგებელთან, მის ტაქტიკურ სქემებთან შეგუება უხდებათ. თავის მხრივ, მწვრთნელიც უნდა შეეგუოს გუნდის მოთხოვნებს, რაც დროის გარკვეულ ნაწილს მოითხოვს და იოლი ნამდვილად არ არის.

სხვა საქმეა, რომ იმ ამოცანის გადაჭრა, რასაც კლუბის ხელმძღვანელობა ბენიტესს უსახავს, იოლი სულაც არ არის. მაგალითად, „რეალის" შეფობა მიიჩნევს, რომ გუნდმა აუცილებლად უნდა დაიბრუნოს ესპანეთის ჩემპიონის ტიტული.

შეუძლებელი ამქვეყნად არაფერია, მაგრამ ეს ამ გადასახედიდან პრაქტიკულად გადაუჭრელ ამოცანად მოჩანს. „რეალი" „ბარსაზე" უარესია და ამის დაწერის უფლებას მხოლოდ ამ ორი გოლიათის უშუალო შეხვედრა არ გვაძლევს.

„ბარსელონა" უფრო სანახაობრივია, უფრო მაგრად უტევს. კატალონიელთა ლიდერები გაცილებით უკეთეს ფორმაში არიან, ვიდრე „რეალის" ყოჩები. ფეხბურთში მუდმივი არაფერია და ეს სიტუაცია ადრე თუ გვიან შეიცვლება. ბენზემა გამოძვრება დიდი სკანდალიდან. ბეილს აღარ დაეტყობა ტრავმის კვალი, კრიშტიანო, წესითა და რიგით, ბუზების თვლას უნდა მორჩეს.

„რეალი" ალბათ იპოვის საკუთარ თამაშს, მაგრამ უკვე გვიან იქნება. მანამდე „ბარსა" სრული სვლით მიჰქრის და კონკურენტებს საერთოდ არ იმჩნევს. თუ „რეალმა" ასე გააგრძელა, დაწევის შანსი აღარ იქნება.

ჩემპიონთა ლიგაზე კი ამ დროს ვერაფერს გათვლი. იქ ტიტულისთვის არაერთი დიდებული გუნდი იბრძვის და რომ მოიგო, რამდენიმე ფაქტორი საშენოდ უნდა დაემთხვეს. მაგალითად, სეზონის ბოლოს უნდა იყო საუკეთესო ფორმაში და არც იღბალმა უნდა მიგატოვოს.

რაფაელ ბენიტესი
რეალის მთავარ
მწვრთნელად რჩება

და მაინც, შეცდა თუ არა „რეალის" ხელმძღვანელობა, როცა ნდობა გამოუცხადა ბენიტესს? გავითვალისწინოთ ის, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ. დროის ფაქტორი - ერთადერთი ესაა, რაც ესპანელის სასარგებლოდ მეტყველებს. ესპანელი ჟურნალისტები კი ფლორენტინო პერესის გადაწყვეტილებას ასე ხსნიან - პრეზიდენტმა არ გაწირა ბენიტესი, რადგან ცოტა ხნის წინათ თავად შერაცხა ის „რეალის" მწვრთნელობის ყველაზე ღირსეულ კანდიდატად.

რაც მთავარია, დრო მიდის და რაფას ხელში „რეალის" რესურსი არ ჩანს. ლიდერები ხშირად ტრავმიანობენ. სულ ცოტა ხნის წინათ კი კრიშტიანომ კლუბის შეფობას ულტიმატუმი წაუყენა, ან მე, ან ბენიტესიო!..

„რეალმა" არჩევანი გააკეთა, რონალდო კი შუა სეზონიდან ვერ გაიქცევა გუნდიდან, სამაგიეროდ, მორჩება სეზონი და კრიშტიანოს მეტი თავისუფლება ექნება არჩევანისთვის.

მოვლენები ისე ვითარდება, სულაც არ გამოვრიცხავთ, ფლორენტინო პერესს ახალი „რეალის" აწყობა ჰქონდეს ჩაფიქრებული. ექსტრავაგანტურ პრეზიდენტს ხშირად აწუხებს ასეთივე ექსტრავაგანტური იდეები.

მეორე მხრივ, ეს ნაბიჯი ლოგიკას მოკლებულად სულაც არ ჩანს. ამ ფორმაციის „რეალმა" შეასრულა მისი მთავარი ამოცანა და მოიგო ჩემპიონთა ლიგა. რონალდო დგას. ბენზემამ მოუკლო. ბეილი ჯერაც ვერ გაითქვიფა ბოლომდე მადრიდში. რატომ არ უნდა სცადოს ფლორენტინომ ახალი „რეალის" აწყობა? მით უმეტეს, პრეზიდენტს თავი მადრიდელთა მხსნელად და მესიად წარმოუდგენია...

პერესის მისწრაფება გასაგებია, მაგრამ შეძლებს ის ამას ბენიტესთან ერთად? შეძლებს იმ სპეციალისტთან ერთად, რომელიც არასოდეს ყოფილა „გიჟური" ფეხბურთის აპოლოგეტი და ყოველთვის გონებით სჯიდა?!

ისე, როცა „რეალს" წვრთნი, ხანდახან უნდა გაგიჟდე კიდეც. ხანდახან კი არა, ხშირად. რაფას ეს აკლია. რაფას „რეალი" უპირობო დომინანტი მხოლოდ თავისზე დაბალი კლასის გუნდებთან არის. ეს უკვე მიუღებელია.

დღეს ფეხბურთში ყველა ყველას უყურებს. დღეს ფეხბურთში საიდუმლო აღარ არის. დღეს ყველამ იცის, რომ „ბარსა" „დაფრინავს". დღეს ყველამ იცის, რომ „ბაიერნი" ბურთს მთელი მატჩის განმავლობაში ფლობს...

და რა ვიცით „რეალზე"? ვიცით მხოლოდ ის, რომ „სამეფო კლუბი" მეორე ეშელონის გუნდებს სჯობნის და ხანდახან იმათთანაც წაბორძიკდება ხოლმე. ვიცით, რომ ლიდერები ძველებურად ვეღარ ლიდერობენ და გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი ამ დროისთვის მეკარე კეილორ ნავასია.

საერთოდ, პარადოქსია, როცა „რეალში" საუკეთესო მეკარეა. იკერ კასილიასი სულ დიდი იყო, მაგრამ საუკეთესო - ნაკლებად, რადგან „რეალი" სულ უტევდა და „რეალში" ძირითადად შემტევები ბრწყინავდნენ.

ფლორენტინო პერესმა დროებით გადადო ის, რასაც თავიდან მაინც ვერ აიცილებს. თუ აშენებაა, ახალი „რეალი" მან ახალ მწვრთნელთან ერთად უნდა ააშენოს!

ალეკო კაკაურიძე



ᲛᲔᲓᲐᲒᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲡᲘᲯᲘ

მიუნხენის „ბაიერნი" დიდი კლუბია. დიდი ფეხბურთით და ასეთივე არასაფეხბურთო, ფეხბურთის მიმყოლი ამბებით. „ბაიერნი" მაგრად მიდის. სეზონის შუაში ასეა და მერე რა იქნება, ღმერთმა უწყის.

იყო დრო, „ბაიერნის" ფეხბურთთან ერთად ამ კლუბის ყოველდღიური სკანდალებიც საინტერესო იყო. ამადაც ეძახდნენ „რეკორდმაისტერს" მოფერებით „ჰოლივუდს" გერმანელი და არა მხოლოდ გერმანელი ჟურნალისტები.

ახლა სკანდალები აღარ არის და არის მხოლოდ ფეხბურთი. და ვინ იტყვის, რომ ეს უინტერესოა? არ შეიძლება, „ალიანც არენაზე" საინტერესო ამბები არ ხდებოდეს. ეს, უბრალოდ, გამორიცხულია.

საინტერესო ამბავთა თავში არ დგას „რეკორდმაისტერის" გიჟური სვლა. ამას უკვე მივეჩვიეთ და საქმეს ისეთი პირი უჩანს, უახლოეს მომავალში არც გადავეჩვევით. საინტერესო - სეზონის ბოლოსკენ დაიწყება. დაიწყება და ჩვენ ვნახავთ, ეყოფა თუ არა კატალონიელის მიერ მომართულ გერმანულ მანქანას საწვავი...

ახლა სხვა გმირის დროა. ლევანდოვსკი უკვე დიდი ხანია, გმირია. დუგლას კოშტას დროა. გერმანელთა ბრაზილიელი ჯილასი, ვინც ბუნდესლიგის კონსერვატიულ და მომთხოვნ სამყაროში მეტეორივით შეიჭრა, ვინც გერმანია და არა მხოლოდ გერმანია აალაპარაკა.

„ბაიერნს" კარგა ხნის განმავლობაში არ ჰყავდა არიენ რობენი და ფრენკ რიბერი. რობენი უკვე არის, რიბერი მკურნალობს. ბოლო დროს რიბერის გარეშე „ბაიერნის" წარმოდგენა შესაძლებელი ვერ იყო. ახლა უკვე შესაძლებელია. ახლა „ბაიერნს" დუგლას კოშტა ჰყავს.

25 წლის ბრაზილიელი ისე „დაფრინავს", „ალიანც არენა" შოკშია. ამას მართლაც არავინ ელოდა. კოშტა ყოველგვარი ადაპტაციის გარეშე მოერგო „ბაიერნს" და ეს მის განსაკუთრებულობაზე მეტყველებს. იოლი არ არის, დიდ კლუბში მიხვიდე და მაშინვე გაფრინდე, მეტიც - ეს ურთულესია.

რა არის დუგლას კოშტას მთავარი ღირსება? რა თქმა უნდა, ის ძალიან ტექნიკურია. რა თქმა უნდა, მან დიდებულად „იცის" ბურთი, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ის ბოლო დროს გუნდურ მოთამაშედ ჩამოყალიბდა. ის შეუცვლელი კაცია პეპ გვარდიოლას აწყობილ ანსამბლში და კატალონიელ მწვრთნელს ძალიან გაუჭირდება, როცა ფრენკ რიბერი დაბრუნდება.

ფრანგი დიდი ვარსკვლავია. ფრანგს მიაჩნია, რომ ყველაზე უკეთესად თამაშობს ფეხბურთს მსოფლიოში. რიბერი იოლად არ დათმობს ადგილს ძირითად შემადგენლობაში. გვარდიოლას დიდი ფიქრი მოუწევს. ერთი მხრივ, სასიამოვნო და მეორე მხრივ - ცოტა უხერხული.

როცა ორს პირველობა უნდა და შენ მწვრთნელი ხარ, აუცილებლად გიწევს არჩევანის გაკეთება. თუნდაც ეს არჩევანი მტკივნეული იყოს. მწვრთნელი იმის მწვრთნელია, რომ ეს არჩევანი გააკეთოს.

გვარდიოლამ კი არც მწვადი უნდა დაწვას და არც შამფური. რიბერი კიდევ გამოადგება „ბაიერნს". დუგლას კოშტას დრო ახლა მოდის. მერე ვინ თქვა, რომ ორი „პრიმა" ცუდია? მერე ვინ თქვა, რომ ორი ლიდერი წარმატებას ხელს უშლის?!

დუგლას კოშტამ პირველი ნაბიჯები „გრემიოში" გადადგა. ის სულ მალე შენიშნეს დონეცკის „შახტარის" სელექციონერებმა. „შახტარში" კოშტამ ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. ის არის უკრაინის ხუთგზის ჩემპიონი, უკრაინის თასის სამგზის გამარჯვებული, ქვეყნის სუპერთასის სამგზის მფლობელი...

„ბაიერნმა" კოშტას სანაცვლოდ ერთობ სოლიდური თანხა, 30 მილიონი ევრო გადაიხადა. „სოლიდური" შეიძლება მთლად მართებულიც არ იყოს - ახლა საშუალო ფეხბურთელებშიც იხდიან ამდენს, თუმცა „ბაიერნის" სატრანსფერო პოლიტიკა მოზომილია და შეცდომებს თითქმის გამორიცხავს.

ბრაზილიის ნაკრებში დუგლას კოშტას დებიუტი 2014 წლის ნოემბერში ჰქონდა. დუნგამ ის თურქეთთან ამხანაგურ მატჩში ათამაშა. მაშინ ფეხბურთელმა თქვა, რომ ცხოვრების ოცნება აისრულა, რადგან ვერც კი წარმოედგინა, თუ ოდესმე „სელესაოს" მაისურას მოირგებდა.

არადა, ყველაფერი სწორედ ამისკენ მიდიოდა. დუგლას კოშტა ბრაზილიის ახალგაზრდული ნაკრების ლიდერი იყო, არის სამხრეთ ამერიკის ჩემპიონი და მსოფლიოს 2009 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი.

დუგლას კოშტამ ბრაზილიის ნაკრებთან ერთად „კოპა ამერიკაზე" თამაშიც მოასწრო. ვერ ვიტყვით, რომ ეს ტურნირი მისთვის და ნაკრებისთვის წარმატებული იყო. პარაგვაისთან შეხვედრაში კოშტამ პენალტი გააფუჭა დაძაბულზე დაძაბულ სერიაში, მანამდე კი გამარჯვების გოლი გაუტანა პერუს.

ფაქტია, ბრაზილიის ნაკრებში მომავალი დუგლას კოშტასია. ბრაზილიას ჰყავს ნეიმარი და სადაც ნეიმარია, იქ გამოკვეთილ ლიდერად ყოფნა ძალიან რთულია. ამის მიუხედავად, თუ სასწაული არ მოხდა, დუგლას კოშტა ბრაზილიის ეროვნულ გუნდში ერთ-ერთი მთავარი კაცი იქნება რუსეთში გასამართ მუნდიალზე.

სწორედ ამ დროს იქნება ის საფეხბურთო სიმწიფის ასაკში. სწორედ ამ დროისთვის კიდევ უფრო დაღვინდება. დიდი ალბათობით, 2018 წლისთვის დუგლას კოშტას ექნება გაცილებით მეტი ტიტული, ვიდრე ახლა აქვს.

დიდი ალბათობით, ჩვენ მაშინ მის შესახებ გაცილებით მეტი გვექნება დაწერილი, ვიდრე ახლა. ის ამას დაიმსახურებს, თუ ისევე „იფრენს", როგორც ახლა „დაფრინავს". ფეხბურთს რას გაუგებ, მაგრამ ამ ეტაპზე შემაფერხებელი ამბები არ ჩანს.

ბიჭი უმატებს და უმატებს. „ბაიერნი" შეუჩერებელია. რიბერი კი დაბრუნებას ფიქრობს და იცის, რომ მის გზაზე ია-ვარდი ბევრი არ იქნება. მას „მფრინავი" დუგლას კოშტა ელის.

ალეკო კაკაურიძე

კობი ბრაიანტი

CLCm week

ძვირფასო ყოფილებო!..

კობი ბრაიანტმა გადაწყვიტა: 2015-16 წლების სეზონის დასრულების შემდეგ სპორტიდან მივდივარო. საიტ „ფლეიერსტრიბუნზე" სიყვარული აუხსნა... ვის? ქვემოთ წაიკითხავთ...
შესაძლოა, ზოგიერთი ფრაზა ქართულად მთლად გამართულად არ არის ნათარგმნი, მაგრამ ვეცადეთ, ისე გადმოგვეცა, როგორც კობიმ ჩაიფიქრა. სტრიქონებიც სწორედ ისეა დაყოფილი, როგორც ორიგინალში...

იმ მომენტიდან,
როცა მამაჩემის გრძელი
წინდები ამოვიცვი
და ჩემს წარმოდგენაში
ვასრულებდი
თამაშის გადამწყვეტ
წუთიერებას
დიდ დასავლურ
ფორუმში,
ერთი რამეს მივხვდი:

შემიყვარდი.

იმდენად ტრამად
შემიყვარდი, რომ
შენთვის ორფერი
მენანებოდა -
ჩემი გონება და სხეული,
სული და გული.

ექვსი წლის ბიჭი,
რომელსაც ძალიან
უყვარდი,
ვერ ვხედავდი
დასასრულს
გვირაბის ბოლოს.
მხოლოდ საუთოარ თავს
ვხედავდი
მოედანზე მორბენალს.

და დავრბოდი.
დავრბოდი ზემოთ და
ქვემოთ, უველგან,
ბურთის დაუჯერებელს
უოველთვის მოითხოვდი
ბრძოლას.
მე გულს გაძლევდი,
როდგან ვიცოდი, მეცხ
მივილებდი.

ვთამაშობდი ხალისით და
წყივლით
ორა იმიტომ, რომ
გამოწვევა მიხმობდა,
იმიტომ რომ შენ მეძახდი.
უველოფერს შენთვის
ვაუეთებდი,

რადგან უველას
სიცოცხლეს აგრძნობინებ,
ისე, როგორც მე
მაგრძნობინე.

6 წლის ბიჭს „ლეიუერ-
ოცნება" ამახლინე
და ამიტომაც მეუვარები
უოველთვის.
მაგრამ მალე ვეცარ
მეუვარები ძველებურად.
ეს სეზონიცა დამრჩა.
გული აკლავ
ძველებურად მიძგერს,
გონებაც ჩვეულად
მიკრის,
მაგრამ სხეული ამბობს -
დამშვიდობების დროა.

და იყოს ასე.
მზად ვარ გაგეყარო.
მხოლოდ ერთი რამ
მინდა:
ორივე დავწყბეთ უოველი
წუთით,
რაც ერთად დაგვრჩენია.
ყრგითაც და ცუდითაც.
ჩვენ ხომ ერთიმანეთს
მივეცით
უველაფერი რაც
გაგვაჩნდა.

და ორივემ ვიცოდეთ,
მნიშვნელობა არა აქვს,
რას გავაუეთებ შემდეგში,
უოველთვის ვიქნები ბიჭი
დიდი წინდებით,
უუთხეში მდგარი,
რომელის წინ საათზე
წერია:
:05 წამი
ბურთი ჩემს ხელშია
5...4...3...2...1

მიყვარხარ, მუდამ!
ყობი

ЗМ

კობი ბრაიანტი მიდის. კობი ამ სეზონში ძაან გახუნებულია. კობი ბრაიანტი ცუდი გუნდის ცუდი ლიდერია. კობი ბრაიანტი „ლეიკერსში" ახალი ტალღის წამოსვლას აჩერებს. და კობი ამ ტალღას სეზონის ბოლომდე გააჩერებს. ბრაიანტმა უნდა დაამთავროს ბოლო სეზონი, ჩაალაგოს ჩანთა, გასახდელიდან ყველაფერი გამოიტანოს, კიდევ ერთხელ შეათვალიეროს სტეიპლსის გასახდელი და კობი თვალებს დახუჭავს...

რა მაგარი კარიერა იყო. ყველაზე ახლოს მაიკლ ჯორდანის წასვლის შემდეგ მაიკლ ჯორდანთან იყო კობი. კარგი წლები, ლეგენდარული წლები, კობის წლები და ეს, ყველაზე ცუდი პერიოდი. კობი მიდის და „ლეიკერსი" ახალ ცხოვრებას იწყებს. ჯულიუს რენდლთან და ჯორდან კლარქსონთან ერთად. „ლეიკერსი", რომელიც შაკის და კობის დროს გლენ რაისს, რიკ ფოქსს და ბობი ორის მესამე, მეოთხე და მეხუთე ოფციებად ათამაშებდა, რენდლის და კლარქსონის ნიჭზე იქნება დამოკიდებული. ცოტა ცუდი პერსპექტივა კალიფორნიული „ფერარისთვის". და „ლეიკერსი" „პეჟო" გახდა. ახალი, მაგრამ „პეჟო". „ფერარი" ჩაკეტეს. კობი მიდის. გასაღები დარაჯმა ჩაიბარა და ჩაილაპარაკა, აბა მაგრად, ახალ კობიმდე.

ბრაიანტის პირველი სეზონი ძაან უცნაური იყო. დრაფტი, რომელმაც ლიგას მოულოდნელად ბევრი მოურიდებელი ახალგაზრდა აჩუქა. დრაფტი, რომელმაც ახალი კონტრაქტები გაუშანსა დერეკ ფიშერს (24 ნომერი), ჟიდრუნას ილგაუსკასს (20), ჯერმეინ ონილს (17), სტივ ნეშს (15), პეჟა სტოიაკოვიჩს (14), ენტუან უოკერს (6), რეი ალენს (5), სტეფონ მარბერის (4), შარიფ აბდურ-რაჰიმს (3), მარკუს კემბის (2) და ალენ აივერსონს (1). კობი მეცამეტე ნომერი იყო. მეცამეტე მეომარი, რომელიც „ლეიკერსმა" აირჩია. კალიფორნიაში ახალ გუნდს აწყობდნენ და ამ პაზლში კობი ის, ბოლო, აუცილებელი ნაწილი იყო. კობის გარეშე პაზლი ვერ იწყობოდა. და ბრაიანტმა „ლეიკერსს" მომავალი აჩუქა. კობიმ შეცვალა მოწყენილი წლები და შაკთან ერთად „სტეიპლსში" ბევრი საკალათბურთო ჰალუცინატორი შეაგდო. შედიხარ დარბაზში და გეკითხებიან, რას ინებებთ ენის ქვეშ, შაკს, კობის თუ დერეკ ფიშერს? თუ გსურთ, ნიკვან ექსელიც გვაქვს. ან, ელდენ კემპბელი. არჩევანი დიდი იყო და უმეტესობა, მაინც შაკს ან კობის ადებდა თითს. და იწყებოდა მოგზაურობა ასტრალში, სადაც ბევრი ფერი უფრო მეტი და მკვეთრი ფერით იცვლებოდა. სადაც კობი იყო ბობ მარლის და პირველი ნიუორლეანელი ჯაზმენის ფერადი ფანტაზია. სადაც კობი იყო ყველაფერი. რა თქმა უნდა, შაკთან ერთად. კობი იყო კალიფორნია.

ბრაიანტი არ თამაშობდა. ის პიჟონურად და გამომწვევად გეცეკვებოდა. ერთი ილეთი, მეორე ილეთი, მაიკლ ჯექსონის მოძრაობას ფრედ ასტერის გამოსვლა ცვლიდა და კობის ცეკვის გაკვეთილი ყველასთვის უფასო იყო. ოღონდ, მხოლოდ პირველი გაკვეთილი. გინდა სეანსების გაგრძელება? ფასი დაბალია. შენი ცხოვრება. ბრაიანტთან ერთად იცვლებოდი და ბრაიანტთან ერთად კობის ილუსტრირებულ დღიურში შედიოდი. და ხვდებოდი ახალ სამყაროში. სადაც პიტერ პენი მარიხუანას ეწეოდა. სადაც ბეტმენი უსაქმური ჟიგოლო იყო. სადაც სუპერმენი სანტინო კორლეონეს იაპონურ ჯოკერს ეყომარებოდა. სადაც ბონი და კლაიდი დონ ვიტოს პიცის გამყიდველები იყვნენ და ქსერქსი ბავშვებს იტოვებდა, რომ გაზის ვალი გაესტუმრებინა. კობის განსაკუთრებული სამყარო შენთვის ზღაპარი იყო. და იმ ზღაპარში ყველა ერთ სიტყვას ელოდებოდა. დიქტორი გაპარსავდა ბოლო ჩიზბურგერს, ჩარეცხავდა ამას „სპრაიტით" და ოდნავ დაგუბებული ხმით გამოაცხადებდა - ვიწყებთ!

იწყებოდა „ლეიკერსის" თამაში. და იქ კობი იყო.

ჩემთვის კობი ყველაზე ახლობელი მტერი იყო. „სან ანტონიოსთან" ბრაიანტი განსაკუთრებით მოტივირებული, მონდომებული, ბევრფერიანი იყო. „სან ანტონიოსთან" კობი იცვლებოდა და ბრაიანტის თვალებში უფსკრულის ტკივილი, ლავა, ცეცხლი იყო. ამ ცეცხლს ეხებოდა ბრიუს ბოუენი და სადამდეც ქაჩავდა, ცდილობდა ამ ჯოჯოხეთის გაჩერებას. ამ ცეცხლს ეხებოდა ტიმ დანკანი და იმ მომენტში კობი იცვლებოდა. ის და შაკი ტიმის მეგობრები იყვნენ. და კობი მშვიდად კლავდა „სან ანტონიოს". და ბრიუს ბოუენს. და „სპერსი" კიდევ ერთხელ გადიოდა განცდის, მარტოობის ლაბირინთში, სადაც ბოლო სანთელს ბრაიანტი აქრობდა. კობიმ „სან ანტონიოს" ბევრი მოგება წაართვა და კობიმ „სან ანტონიოსგან" ბევრჯერ აირტყა. ისინი პატივს სცემდნენ ერთმანეთს და იმ პერიოდში, ვინც ამ ორი გუნდის გარჩევას იგებდა, პრაქტიკულად, ჩემპიონი იყო. კობი ჩემთვის ყველაზე განსაკუთრებული მტერი, ყველაზე ცინიკოსი გენიოსი და ლამაზი ჭრილობა იყო. ლებრონის დარტყმის შემდეგ სხეულს ერთი დიდი მოტეხილობა რჩება. კობის დარტყმის შემდეგ გრჩებოდა შეუხორცებელი ჭრილობა. კობი ყველაზე ბასრი და ცოტა დაჟანგული სამართებელი იყო. ბრაიანტმა და „სან ანტონიომ" გაცვა-





ლეს წლები, პატივისცემა და სიყვარული. ბრაიანტმა „სან ანტონიოსგან" ღირსეულად წაგება ისწავლა."სან ანტონიომ" კობი მიიღო. და მტერი დააფასა. მტერი, რომელიც ყოველთვის ელეგანტური და უნიკალური იყო.

ეს „ლეიკერსი" მაგარი ცუდი გუნდია. ჯეკ ნიკოლსონი კალათბურთს აღარ უყურებს და სიუზან სარანდონისგან ქსოვას ამუღამებს. ენდი გარსია კალათბურთს შეეშვა და უკრაინაში გაიქცა, თავისი ყველაზე დასამახსოვრებელი პერსონაჟი რომ უკეთ გაიცნოს. კამერონ დიასი სულ გაგიჟდა და „სტეიპლსის" გასაღების დუბლიკატი გააკეთებინა. ის თამაშის შემდეგ მამაკაცების საპირფარეშოში იმალება და როცა ყველა გადის, ანთებს შუქს და სამიანების სროლას იწყებს. დიასს ჰგონია, რომ ის ბრაიანტია. შემდეგ, კეტავს დარბაზს და სახლში დაღლილი, დაცლილი და გამოფიტული მიდის. როგორც ბრაიანტი, რომელიც „სტეიპლსში" ბოლომდე რჩებოდა. რომელიც იქ ენერგიას და წლებს ტოვებდა. და რომელიც ერთი ჩვეულებრივი მანიაკი იყო. ის არ ცდილობდა ჯეფრი დამერის დღიურებიდან ინსპირაციის მიღებას. ის არ იყო გენიალური და ლამაზი ედ გეინის გულშემატკივარი. ის კალათბურთის ბურთით გადიოდა სანადიროდ და იზრდებოდა მსხვერპლის რიცხვი. იზრდებოდა წასულების რაოდენობა. კობი ბრაიანტთან ერთად იგებდი და კობისთან ერთად წაგებაც თავისებურად საკაიფო იყო. შენ იმ მომენტში ყველაზე მკვლელი, ელეგანტური მოთამაშის თანაგუნდელი და ახლობელი იყავი. კობისთან ერთად თვალებს ხუჭავდი და იწყებოდა ერთი დაუსრულებელი მოგზაურობა. საკალათბურთო ვალჰალა. კობი ბევრისთვის ოდინი გახდა. ცოტა მუქი ფერის, მაგრამ მაინც ოდინი. კობის იმპერიაში მზეც „ლეიკერსის" გულშემატკივარი იყო. თან, ძალიან ერთგული. ყველაფერი იცვლებოდა. კობის გარდა. და კობისთან ერთად. კობი რჩებოდა. და მერე მზე ჩაქრა. ჩაესვენა.

და უცბად, კობიც შეიცვალა. და ბრაიანტის მტრებსაც გაუტყდათ, რომ ლეგენდა ჩვეულებრივი, მოხუცი მოთამაშე გახდა. რომ ლეგენდამ დაკარგა სტატუსი. რომ ლეგენდა დაიშალა. პაზლი ვერ ააწყვეს და პაზლის ბოლო ნაწილი ამოვარდა. კობი იქ ზედმეტი იყო და კობიმ დაკარგა კობი. „ლეიკერსი" შეიცვალა და „ლეიკერსი" ვერასოდეს ვერ გახდება ის, რაც შაკის და კობის დროს იყო. „ლეიკერსი" კლარქსონის, რენდლის და რონ არტესტის ბანდა გახდა. ცუდი ისტორია იწყება. ძაან ცუდი ისტორია. და კალიფორნიაში როი ჰიბერტიც ჩაიყვანეს. მაგარი ცუდია. ჰიბერტი ამ გუნდის ახალი მენტორი, ახალგაზრდებისთვის მაგალითი უნდა გახდეს. რა ცუდი მაგალითია. კობიმ აკომპანიატორებად უსარგებლო მიიღო. „ფილადელფია" ყველასთან აგებდა და ეს სერია „ლეიკერსთან" დაამთავრა. და იმ ერთ, ჩვეულებრივ ტესტში ბრაიანტმა ჩვიტმეტი სამიანი ისროლა. ერთმა კაცმა ერთ თამაშში ჩვიდმეტი სამიანი ისროლა. ოთხი ჩააგდო, მაგრამ გუნდმა წააგო. და „ფილადელფიამ" ცუდი სერია დახურა. ბავშვების, ძველი ბიჭების, ბრექი ღლაპების „ფილადელფიამ" მოიგო და კობი ვერ მიხვდა, რა მოხდა. ბრაიანტს ერთ მომენტში გადაეკეტა და ბრაიანტმა „ფილადელფიაში" „სპერსი" ან პირსის „სელტიქსი", ან უებერის და ბიბის „საკრამენტო" დაინახა. და კობიმ აიშვა. უბრალოდ, ეს აღარ იყო ძველი ბრაიანტი და მის წინააღმდეგ ტიტანები არ იდგნენ. „ფილადელფია" ბედნიერია. კობი კიდევ ერთი თამაშით დაბერდა და ლიგამ კიდევ ერთი გატეხილი სუვენირი მიიღო. მისტერ ბრაიანტი მალე წავა. ამ სეზონის შემდეგ წავა და ლიგა უკვე იცვლება. კობის წასვლის შემდეგ დარჩება ორმო, რომელშიც ნელ-ნელა ბევრ უსარგებლო მოთამაშეს ჩააბეტონებენ. რომ ორმო ამოივსოს და იქ კობის მონუმენტი იდგეს.

კობი მიდის და ცოტა მოვიწყინე. ბრაიანტის გულშემატკივარი არ ვყოფილვარ და მაინც მოვიწყინე. კობის გარეშე შავ-თეთრი კალათბურთი დაიწყება.

ტიმ დანკანი ჩემთვის იდეალია. სპორტში, არასპორტში. ყველაფერში.

ლებრონ ჯეიმსი ჩემთვის იდეალური სპორტსმენია. ალბათ, არა მხოლოდ ჩემთვის.

კევინ დიურანტი ყველაზე ელეგანტურად გიყომარებს.

და კობის გარეშე ლიგა შეიცვლება. უკვე შეიცვალა. დღევანდელიონერები და უსაქმურები მიიღო. ყველაფერი იცვლება და „ლეიკერსი" გახდა ბოლივუდი. ჰოლივუდამდე უკვე შორია. ცუდია.

ლი ბრაიანტი ძველი, კლასიკური კობის კარიკატურაა. რომელიც არ უნდა იყოს. რომელიც არ უნდა ყოფილიყო. რომელიც ბევრს ახსოვს და სამწუხაროდ, არ დაავიწყდება. რომელიც ვერ იგებს. და კობი უნდა იგებდეს. თუნდაც, მისი კარიკატურა და თუნდაც ამ, დაშლილ მდგომარეობაში.

„ლეიკერსი" დაბრუნდება. აზრზე არ ვარ, როდის და როგორ, მაგრამ დაბრუნდება. ჯეკ ნიკოლსონი შეეშვება ქსოვას და ენდი გარსია ბორშჩის დაგემოვნებას ლოს ანჯელესში გააგრძელებს. კამერონ დიასიც აღარ ისვრის სამიანებს. თუმცა, ამ „ლეიკერსში" რა დიასს უსვრია შორიდან და რა - რომელიმე მოთამაშეს. ერთი და იგივეა.

„ლეიკერსი" კიდევ ერთხელ დაბრუნდება.

უბრალოდ, კობის გარეშე.

ლეგენდა მიდის. ლეგენდა დასრულდა. ლეგენდა კობიზე.

თავი დახარეთ, ის მიდის.

ზურა თალაკვაძე

სამი ქამა
შვიდთვია
ბეჭმეინის

დიუსელდორფის რინგზე ბრიტანელმა ტაისონ ფიურიმ უკრაინელი ვლადიმერ კლიჩკო დაამარცხა და პროფესიულ კრივში ბოლო წლებში სტაბილური ერთფეროვნება რადიკალურად შეცვალა. ფიური ამ გამარჯვებით ერთდროულად სამი საჩემპიონო ქამრის მფლობელი გახდა, ხოლო ცოტა ხნის წინ ხელხვავიანად მყოფი კლიჩკო სულაც ხელცარიელი დარჩა. ფიურის მიერ კლიჩკოს დამარცხება პროფესიულ კრივში ახალი ერის დასაწყისად შეფასდა...

სამი ყველაზე პოპულარული საკრივო ორგანიზაციის (WBA, IBF, WBO) ვერსიით მსოფლიოს მძიმეწონოსანი ჩემპიონი ვლადიმერ კლიჩკო, თავისი ასაკიდან (40 წლისაა) გამომდინარე კიდევ დიდხანს ვერ დარჩებოდა აქტიურ სპორტში, მაგრამ საკითხავი იყო, ბოლომდე მწვერვალზე მყოფი წავიდოდა ვლადიმერი კრივიდან, თუ გამოჩნდებოდა ვინმე, მისი ტახტის შემარყეველი.

ტაისონ ფიურიმ, რომელსაც აქამდე პროფესიულ რინგზე ჩატარებული ყველა 24 შეხვედრა მოეგო, წაუგებელი სერია არც უკრაინელთან შეწყვიტა. არბიტრებმა ქულები ერთხმად მის სასარგებლოდ დაითავლეს და ბრიტანელის წარმატება საეჭვო არავისთვის გამხდარა. კლიჩკომაც ღირსეულად მიულოცა მეტოქეს გაჩემპიონება.

სპორტის არც ერთი სახეობა არ არის ისე მიდრეკილი შოუსკენ, როგორც პროფესიული კრივი. შოუ ფაქტობრივად ამ სახეობის შემადგენელი ნაწილია. დაწყებული წინასაბრძოლო პრესკონფერენციით, შემდეგ უშუალოდ ბრძოლით და პოსტსამატჩო პერიპეტიებით. ტაისონ ფიური თანამედროვე კრივში ამ თვალსაზრისითაც ზედგამოჭრილი ჩემპიონია.

მან არც აქამდე მოაწყინა პუბლიკა და ახლა ჩემპიონის რანგშიც მაქსიმალურად შეეცდება ყურადღება სრულად მასზე იყოს კონცენტრირებული. აქამდე საკრივო მწვერვალზე მყოფი ძმები კლიჩკოები ლამის რინგზეც ჰალსტუხით გასულიყვნენ. მათგან არც სკანდალი იყო მოსალოდნელი და არც შოუ. ცხადია, ამის გამო საჩემპიონო ქამარს კლიჩკოებს ვერავინ წაართმევდა, მაგრამ პუბლიკა აშკარად ელოდა რომელიმე ხმაურიან, პოპულარულ პერსონას ერთფეროვნად მოწესრიგებული ჩემპიონების პოზიციაზე.

კრივის ისტორიაში ყველაზე დიდი ჩემპიონები მუჰამედ ალი და მაიკ ტაისონი მხოლოდ რინგზე ყოფნით არ იქცევდნენ ყურადღებას, ისინი რინგს მიღმა ქცევით თუ განცხადებებითაც საზოგადოების გვარიან ინტერესს იპყრობდნენ. სპორტისა და შოუს მათეული სინთეზით კმაყოფილი რჩებოდა როგორც სპორტსმენი, ისე მაყურებელი.

27 წლის მანჩესტერელი ახალი ჩემპიონის კარიერის დეტალებიც საინტერესოა და გულგრილს ძნელად თუ ვინმეს დატოვებს.

ირლანდიელთა გარკვეულ ჯგუფს „მოხეტიალეებს", აგრეთვე „ირლანდიელ ბოშებს" უწოდებენ. ფიურები სწორედ მათი წარმომადგენლები არიან. „ირლანდიელი ბოშების" ყველაზე კარგ გასართობად ქუჩური, მუშტებით ჩხუბი მიიჩნეოდა. კრივი მეტადრე ტაისონის მამას და ბიძას ხიბლავდა და ტაისონიც ბავშვობიდან რინგზე დგომისთვის იყო „განწირული".

მამამისმა შვილს სახელი სწორედ „რკინის მაიკის", მისი კერპის პატივსაცემად შეურჩია. გამომდინარე იქიდან, რომ ტაისონი შვიდთვიანი გახლავთ და თანაც დაბადებისას დაუჯერებლად ცოტას, სულ რაღაც 500 გრამს იწონიდა, ექიმები მის სიცოცხლეს ეჭვის თვალით უყურებდნენ და ახლა ბევრი მათგანი ალბათ გაოცებულიც იქნებოდა რომ გაეგო, ის ბიჭი, სიცოცხლის ნიშანწყალს ძლივს რომ ავლენდა, გადარჩა, დღეს 206 სმ სიმაღლისაა, 112 კგ-ს იწონის და კრივში სამი საჩემპიონო ქამრის მფლობელიც შეიქნა.



რი
ანი
თვის

ტაისონის სამოყვარულო კარიერაც არ ყოფილა წარუმატებელი, ოღონდ პროფესიულისგან განსხვავებით მაშინ წაგებას გემო მაინც არაერთხელ გაუსინჯა ირლანდიელმა, თუმცა ინგლისის ჩემპიონი და ევროპის ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორი კი გახდა ახალგაზრდებს შორის.

პროფესიულ რინგზე ფიური 2008 წელს გადავიდა. სახარბიელო შედეგების მიუხედავად ძლიერი მოწინააღმდეგეები თითქმის არ ჰყოლია. მოგებას მოგებას უმატებდა და მზარდ ამბიციას არ თოკავდა. ყველაზე ძლიერი, ვინც მას კლიჩკომდე შეხვედრია, ბრიტანელი დერეკ ჩისორა იყო, რომელიც აგრეთვე ეპაექრა უკრაინელს, მაგრამ თუ არ ჩავთვლით ბრძოლის წინ მისთვის სახეში დემონსტრაციულად შეფურთხებას, სხვას ვერაფერს გამორჩა. ტაისონი ჯერ კიდევ ჩისორასთან ბრძოლის წინ უკვე კლიჩკოსთან დაპირისპირებაზე ფიქრობდა.

„როცა ჩისორას შევხვდები და დავამარცხებ, კლიჩკო, რომელიც ჩემთან ბრძოლას აქამდე თავს არიდებდა, ვალდებული იქნება გამოვიდეს რინგზე. თუ არ დამემალა, მე მას აუცილებლად მივბეგვავ", - იქადნებოდა ფიური.

ტაისონს ახასიათებს მოწინააღმდეგის გამოწვევა, მისთვის შეურაცხყოფის მიყენება, მუქარა, გაქილიკება როგორც მასმედიით, ისე სოციალური ქსელებით. ერთხელ „ფეისბუქზე" ერთი რიგითი მეტოქის მიმართ გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადების გამო დაჯარიმებულიც გახლდათ. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვებისთვის კი 15 ათასი ევროთიც შეუთხელეს ჯიბე. აღნიშნულ ჯარიმაზე პროტესტის ნიშნად ტაისონი მომდევნო პრესკონფერენციაზე „პირდაღუქული" გამოცხადდა და პირის ნაცვლად ხელებით ცდილობდა სათქმელი გადმოეცა. ფიური რამდენიმე დღით საპატიმროშიც მოხვდა, როდესაც მის მიერ საგზაო წესების დარღვევის გამო ჩანიშნულ სასამართლოზე გამოცხადება იუარა.

მისი ხასიათიდან გამომდინარე, კლიჩკოსთან ბრძოლის სამზადისი მხოლოდ დარბაზში თავაუღებელ შრომაში არ გამოხატულა. ფიური ამ დაპირისპირებისთვის თავის სტილში ემზადებოდა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე „ირლანდიელი ბოშა" ბეტმენის ფორმით მივიდა, იქ სამასკარადე ფორმაში გამოწყობილი ადამიანი (ვითომ კლიჩკო) ჟეჟა, მერე მაგიდას მიუჯდა და ჟურნალისტებთან მუქარის სულ ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ისროლა.

მოკრივე სატელევიზიო ხმაურიან განცხადებებსაც არ მორიდებია. არ მალავდა, რომ ეს მისი მცდელობა იყო, თავისი საქციელით მდგომარეობიდან გამოეყვანა კლიჩკო. ყველაფრის მიუხედავად შეხვედრის წინ სპეციალისტების ნაწილი იმაზე მარჩიელობდა, შეძლებდა თუ არა ფიური საფინალო გონგამდე გაეძლო უძლიერესი უკრაინელისთვის. დიდი ყურადღება არც იმაზე გაუმახვილებიათ, რომ აქამდე შეხვედრილ 65 მოწინააღმდეგეთაგან ტაისონ ფიური მეორე იყო, რომელიც ვლადიმერ კლიჩკოს სიმაღლით და ხელების სიგრძით აღემატებოდა.

ამაზე ვლადიმერი ამტკიცებდა, რომ ტანმაღალ მოწინააღმდეგეებთან უადვილდებოდა ბრძოლა, მაგრამ გაბარიტებით გამორჩეული, საკმაოდ სწრაფი და კოორდინირებული, ასაკით 13 წლით უმცროსი ფიური მისთვის დაუძლეველი მეტოქე აღმოჩნდა.

ფიურიმ გამარჯვების შედეგად 7 მილიონ დოლარზე მეტი მიიღო. აღნიშნულ თანხასთან შედარებით 200 ათასი დიდი ვერაფერია, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამდენი ბრიტანელმა მოკრივემ ტოტალიზატორში მოგების შედეგად მიამატა მონაპოვარს, რადგან თავისივე გამარჯვებაზე ფსონი ჰქონდა დადებული.

შვიდთვიანმა ბეტმენმა, კლიჩკოსთან ბრძოლის შედეგის გამოცხადების შემდეგ კმაყოფილმა, პირდაპირ რინგზე იმღერა. მისი გამარჯვებით გახარებულ თავისი სამწვრთნელო შტაბის წევრებთან, სეკუნდანტებთან ერთად რინგზე ასული მეუღლის პარისის უშუალოდ მილოცვა მიიღო, მერე მას მიკროფონი გამოართვა და „აეროსმიტის" I don't Want To Miss a Ting შეასრულა. ფიურის ადრეც უმღერია ხან პრესკონფერენციებზე და ხანაც ცალკეული შეხვედრის დასრულების მერე. მაგალითად, რიკი ვან შელტონის Keep It Between the Lines იმღერა სტივ კანინგემთან ბრძოლის შემდეგ 2013 წელს, ხოლო ელვის პრესლის Working in Memphis კრისტიან ჰამერის დამარცხების შემდეგ წლეულს თებერვალში.

ფიურის უდავოდ სასიმღეროდ აქვს საქმე, რადაგან სამი პოპულარული საკრივო ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ისიც შეიტყო, რომ მისი მეუღლე ორსულადაა. პარისს და ტაისონს ორი შვილი ჰყავთ და აგერ გაისად მესამის დაბადებითაც გაიხარებენ.

ახლა ბევრი ადარებს ტაისონ ფიურის გამარჯვებას 25 წლის წინათ მაიკ ტაისონის მარცხს ბასტერ დუგლასთან, როდესაც იმ თაობის აღიარებული ლიდერი მოულოდნელად წაიქცა. გამორიცხული არაა, რომ ფიურის ბასტერ დუგლასივით ტრიუმფის მერე უკუღმა დაუტრიალდეს კარიერის ჩარხი, მაგრამ ამის ალბათობა, ვფიქრობთ, უფრო ნაკლებია. ფიური, გარდა იმისა, რომ როგორც მოკრივე ძალიან ძლიერია, პროფესიულ კრივს შოუმენადაც ჩინებულად მოერგო. ვფიქრობთ, მას პუბლიკა შეიყვარებს და ძნელად შეელევა...

ვასილ ბალახაძე

ᲐᲠᲐᲑᲔᲚᲒᲘᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

მარუან ფელაინი

ევროპის მომავალ ჩემპიონატზე ერთ-ერთი ფავორიტი ბელგიის ნაკრები იქნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბელგიას პირველი ადგილი უჭირავს ფიფას რეიტინგში. ამ ქვეყნის მთავარ გუნდში 15 ისეთი ფეხბურთელია, წარმოშობით ბელგიიდან რომ არ არიან...

ᲕᲔᲜᲡᲐᲜ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘ

მისი ფესვები კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უნდა ვეძებოთ, თუმცა „მანჩესტერ სიტის" მცველი ბელგიაში დაიბადა. ბელგიის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. გუნდში 2004 წლიდან თამაშობს. 66 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

ᲟᲔᲖᲝᲜ ᲓᲔᲜᲐᲘᲠᲘ

მისი ფესვებიც დემოკრატიულ კონგოშია. შედარებით ახალი კაცია ეროვნულ გუნდში. იქ 2015 წლიდან თამაშობს და ჯერ მხოლოდ სამ მატჩში მოირგო ეროვნული გუნდის მაისურა.

ᲯᲝᲠᲓᲐᲜ ᲚᲣᲙᲐᲙᲣ

აჰა, დემოკრატიული კონგოს კიდევ ერთი შვილი, რომელიც ბელგიამ იშვილა. ბელგიის ნაკრების კარი სულ ცოტა ხნის წინათ შეაღო. ჯერ მხოლოდ 1 მატჩი ითამაშა ნაკრებში.

ᲠᲐᲤᲐ ᲜᲐᲘᲜᲒᲝᲚᲐᲜᲘ

წარმოშობით ინდონეზიელი ნაინგოლანი ბელგიის ნაკრებისთვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. „რომას" საყრდენი ნახევარმცველი ნაკრებში 2009 წლიდან თამაშობს. 16 მატჩი, 4 გოლი - ასეთია მისი მონაგარი.

ჯორდან ლუკაკუ

აქსელ ვიტსელი

კრისტიან ბენტეკე

ლუის კავანდა

წარმოშობით ანგოლელმა კავანდამ ბელგიის ნაკრებს ამ წელს გაუსინჯა გემო. დღესდღეობით, ფეხბურთელის ანგარიშზე ეროვნულ გუნდში ჩატარებული 2 მატჩია.

აქსელ ვიტსელი

„ზენიტისა" და ბელგიის ნაკრების შუა ხაზის ერთ-ერთი ლიდერი წარმოშობით მარტინიკიდანაა. ნაკრებში 2008 წლიდან თამაშობს და მონაგარიც მშვენიერი აქვს - 61 მატჩი, 6 გოლი.

მარუან ფელაინი

„მანჩესტერის" უნივერსალს მაროკოული ფესვები აქვს. ბელგიის ნაკრებში 2007 წლიდან თამაშობს. 64 მატჩში 15 გოლი შეაგდო.

მუსა დემბელე

წარმოშობით მალელია. „ტოტენჰემის" ნახევარმცველს ბელგიის ნაკრებში 2006 წლიდან იწვევენ. 61 შეხვედრაში 5 გოლი შეაგდო.

კრისტიან ბენტეკე

ორიდან ერთი - მთავარი ფორვარდი ბელგიის ნაკრებში. „ლივერპულის" ვარსკვლავიც წარმოშობით კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდანაა. ბელგიის ნაკრებში 2010 წლიდან თამაშობს. 24 თამაში, 6 გოლი - ვკითხულობთ მის სავიზიტო ბარათში.

რომელუ ლუკაკუ

ისიც კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდანაა. ბელგიის ნაკრებში 2010 წლიდან იწვევენ. 38 მატჩში 8 გოლი გაიტანა.

დივოკ ორიჯი

„ლივერპულის" შემტევის წარსული რომ გავქექოთ, კენიაში აღმოვჩნდებით. ბელგიის უპირველეს გუნდში 2014 წლიდანაა. ორიჯიმ 16 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

ნასერ ჩადლი

„ტოტენჰემის" ნახევარმცველი მაროკოდანაა. ბელგიის ნაკრებში 2010 წლიდან თამაშობს. 30 შეხვედრაში მოწინააღმდეგეთა კარი 3-ჯერ აიღო.

იანიკ ფერეირა-კარასკო

„ატლეტიკოსა" და ევროპული ფეხბურთის უდიდესი ტალანტის ძარღვებში პორტუგალიურ - ესპანური სისხლი ჩქეფს. ნაკრებში 2015 წლიდანაა. ჯერ მხოლოდ სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა.

მიში ბაჩუაი

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი. „მარსელის" ფორვარდს ბელგიის ნაკრებში 2015 წლიდან იწვევენ. ერთი მატჩი ითამაშა და გოლიც გაიტანა.

ზაკარია ბაკალი

კიდევ ერთი ტალანტი. ბაკალიმ უკვე მოასწრო ბელგიის ნაკრებში 2 მატჩის ჩატარება. ბაკალი წარმოშობით მაროკოელია.

ალეკო კაკაურიძე

ბურა თალაკვაძის
თავისუფალი თემა

გოლია

ლაშა ტალახაძემ ჰიუსტონში დამთავრებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალოსნობაში ვერცხლის მედალი დაირტყა. კარგი, მისაღები შედეგი სპორტსმენისგან, რომელიც ორი წელიწადი იყო „მოტეხილი" საერთაშორისო ტურნირებიდან...

ვერცხლის მედალზე კარგი ყოველთვის ოქროა, მაგრამ ამ ვერცხლს მივიღებთ და ეს ვერცხლი შემდეგ დიდ ამბებში, რიოს ოლიმპიადაზე ჩვენი მოტივაცია იქნება. ხომ გახსოვთ, ის გერმანული გადაცემა „გააკეთე ჩვენთან ერთად, გააკეთე ჩვენსავით, გააკეთე ჩვენზე უკეთ"? ლაშა ტალახაძემ რიოსთვის ეს სიტყვები კარგად უნდა დაიმახსოვროს და ბოლომდე შეუბეროს.

ჩვენი გოლიათი იქ ყველაფრის მომგებია. უბრალოდ, უნდა მოიგოს. ლაშა ქართული სპორტის მომავალია. მე ტალახაძეს რომ ვუყურებ, ვმშვიდდები. იმდენად მშვიდი და საკუთარ თავში დარწმუნებულია ლაშა. ალბათ, დიდი სპორტსმენების დიდი ნაწილი ასეა. დიდებმა იციან, რომ უნდა მოიგონ და დიდებმა იციან, რომ მოიგებენ. ჰიუსტონში ტალახაძეს ცოტა არ გაუმართლა. და რიოში ლაშა მეტს გააკეთებს. აი, ნახავთ, თუ არა. ტალახაძე განსაკუთრებულია. ჰიუსტონში საქართველოს ერთადერთი მედალი ლაშამ აიღო.

კაცებში, წარმომადგენელი მხოლოდ ერთ წონაში არ გვყავდა. და ჩემპიონატი რომ მორჩა, სამი ოლიმპიური ლიცენზია დავითვალეთ. ძაან კარგი შედეგია. იმ მომენტში, იმ ნაკრებისგან, რომელიც ჰიუსტონისთვის მთავარმა მწვრთნელმა, გიორგი ასანიძემ მოამზადა, ეს ალბათ, საუკეთესო შედეგი იყო. ტალახაძე ჩვენი ჯოკერია. ასანიძემ ეს იცოდა. ეს იდეაში, ყველამ იცოდა, მაგრამ ჩემპიონატის დროს ვინმეს მოსალოდნელზე ცოტა მეტი რომ გაეკეთებინა, სიამოვნებით მივიღებდით სიურპრიზს.

საერთოდ, ძლიერი ტურნირი იყო. გაიზარდა მონაწილეების რაოდენობა და შესაბამისად - კონკურენციაც ყველა წონაში. ძალიან ძლიერი შემადგენლობა იყო ტალახაძესთანაც, სადაც საქართველომ დავი თქვა. იქ ლაშას გარდა, ევროპის ჩემპიონი, ირაკლი თურმანიძე იწყებდა. ირაკლი მეორე ჯგუფში გამოვიდა და მშვიდად გაიარა ეს გასაუბრება.



ლაშა ტალახაძემ ჰიუსტონში ვერცხლის მედალი მოიპოვა

თავისი შედეგი თურმანიძემ A ჯგუფშიც გადაიტანა და ბევრი სალიცენზიო ქულაც მოგვცა. იმ წონაში საქართველო ყველაზე მეგობრული იყო. ტალახაძემ და თურმანიძემ დაგლიჯეს. ბიჭებმა მაგრად გვასიამოვნეს და ეს არა მხოლოდ ამ ორი ადამიანის დამსახურება იყო. ჩვენი ნაკრების წარმატება სხვა მომენტებმაც განაპირობა. გავიაროთ ყველაფერი.

ნებისმიერ სახეობაში გჭირდება კარგი მოსამზადებელი პირობები. რომ აქცენტი მთლიანად შენ უშუალო, კონკრეტულ დავალებაზე გქონდეს გადატანილი. საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტად კახი კახიაშვილი აირჩიეს. რა მაგარი წყვილია, პრეზიდენტად სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მივიღეთ და მთავარ მწვრთნელად ასანიძე, რომელმაც ერთხელ მოხსნა ოლიმპიური ჯეკპოტი.

კახიაშვილის დადებითი თვისებები, ძაან მეგობრული დამოკიდებულება და პროფესიონალიზმი გადადის ნაკრებზეც, რომელიც ხედავს, რომ პრეზიდენტი არა მხოლოდ პრეზიდენტი, არამედ, მათი საუკეთესო მეგობარი და ყველაზე ერთგული თანამებრძოლია. კახიაშვილი ყოველთვის ასეთი იყო. და ასანიძე, რომელმაც იცის, რა რთულია მაქსიმუმის გარტყმა.

გიორგიმ ბევრი ტრავმის, ბევრი პრობლემის მოგვარების შემდეგ მოიგო ოლიმპიადა. უბრალოდ, ასანიძე კარიერას ოლიმპიური ოქროს გარეშე არ დახურავდა. გიორგიმ ეს იცოდა და ამისთვის ჩვენც ვემზადებოდით. ასანიძემ იცის, რომ იმავეს გაკეთება და თან, ძალიან თავისუფლად, შეუძლია ტალახაძეს. გოლიათს, რომელიც უბრალოდ, უკეთესი გახდება. გოლიათს, რომელიც ბევრს მოიგებს. გოლიათს, რომელიც უკვე იგებს და მეტისთვის მზად არის. ასანიძემ ლაშასგან მშვიდი პროფესიონალიზმი მიიღო. ბრავო. ლაშა მოუმატებს.

თურმანიძე ბოლო ევროპის ჩემპიონატის დროს გამახსენდა. თავიდან რომ მაგრად ნერვიულობდა და შემდეგ, დარბაზის სითბო, მეგობრობა მიიღო და საერთოდ არ უნერვიულია, ირაკლი

თები

სწრაფად მოვიდა აზრზე და შეუბერა. ევროპის ჩემპიონატი თბილისში ჩავატარეთ, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციისგან უმაღლესი შეფასებები მივიღეთ და თურმანიძე ამ ტურნირზე ჩვენი საუკეთესო სპორტსმენი გახდა. ევროპის ჩემპიონი.

ირაკლი თურმანიძე, რომელსაც ჰიუსტონში ცოტა არ გაუმართლა. აკვრაში, პირველ მისვლაზე 220 კილოგრამი ასწია და მეორე მისვლამდე ტრავმა მიიღო. და აი, აქ უკვე რთული იყო ცოტა მეტის გაქაჩვა. თურმანიძემ ორი შეუსრულებელი მისვლით დაამთავრა ჩემპიონატი და მაინც მარტივად, დიდი უპირატესობით მოიგო თავისი ჯგუფი. უბრალოდ, ცოტა მერე ცოტა სერიოზული ხალხი მოდიოდა. სადაც ფავორიტებში ტალახაძე და ის რუსი, „ტავარიშჩ" ლოვჩევი შედიოდნენ. სხვებიც იყვნენ, მაგრამ უფრო, ეს ორი. ტალახაძე ან ლოვჩევი. ლაშას სერიოზული კონკურენტი ჰყავდა. რომელმაც შეცდომა არ დაუშვა. რომელმაც დამსახურებულად მოიგო. რომელიც ბევრი წლის შემდეგ, ლაშას მთავარი კონკურენტი უნდა იყოს. შეიძლება, სხვებთან ერთად. ძაან მინდა, რომ სხვებში თურმანიძეც შევიდეს და საქართველომ სადმე

დუბლი დასვას. არაჩვეულებრივი პერსპექტივაა. მართლა არაჩვეულებრივი. სამეულში რომ ორი ქართველი შევა. ვნახოთ რა.

ლაშა და ირაკლი თან მაგარი განსხვავებულები არიან და თან, ბევრი იდენტური თვისება აქვთ. ტალახაძემ პირველი მისვლა ვერ გამოიყენა და ეს ცუდი იყო. ტალახაძეს ერთი (ალბათ) შედეგიანი მისვლა მსაჯებმა არ ჩაუთვალეს. ცუდი იყო. შეიძლება, უნდა ჩაეთვალათ.

შეიძლება, მსაჯები მართლები იყვნენ. რა მნიშვნელობა აქვს. უკვე, არ აქვს. მივიღოთ ის, რაც მივიღეთ და შემდეგ ტურნირებზე უკეთესი შედეგი უნდა დავსვათ. უკეთესი შედეგი ლაშას ჩემპიონობა იქნება. ის ამ დონეზე გასასვლელად მზად არის. უბრალოდ, ტალახაძემ მოტივაცია უნდა შეინარჩუნოს. და მაგრად მჯერა, რომ შეინარჩუნებს. ტალახაძე პროფესიონალია, რომელიც უფრო მაღალი დონის პროფესიონალების ყურადღების ქვეშ იმყოფება. კახიაშვილი ოდნავ შორს არის, საორგანიზაციო ამბებს აგვარებს და იქვე, ასანიძეა, რომელიც ლაშას არ მოადუნებს. რომელიც ლაშას საკუთარ შანსს ბოლომდე გამოაყენებინებს. ლაშაში დიდი დოზით ნიჭია.

ეს დოზა მთელმა საქართველომ უნდა მიიღოს და წამოიღებს. ეს დოზა მთელი საქართველოს ნიჭია. ლაშა მოუმატებს. შემდეგი განსაკუთრებული ტურნირი უკვე ოლიმპიადა იქნება. რიოში. რონალდინიოს და ლამაზი, გარუჯული გოგონების სამშობლოში. ბრაზილიაში. სადაც ყველა ბედნიერია. სადაც ჩვენც ვიქნებით. სადაც ბევრის მოგება გვინდა. ლაშასგან და ირაკლისგან.

ჰიუსტონში ძალიან მაგარი ტურნირი დამთავრდა. კოვბოების ქუდებს ყველა პრიზიორს აძლევდნენ. ჩვენ ერთი ქუდი მივიღეთ. ლაშა იულ ბრინერივით იყო, რომელიც „შესანიშნავ შვიდეულში" თავის ქუდს არსად არ ტოვებს. კინოამბებში თუ არა, ეს ქუდი ლაშასთვის შემდეგ ტურნირებზე მეგობარი უნდა გახდეს. შავი სომბრერო, რომელიც ტალახაძემ ორგანიზატორებისგან მიიღო. ტალახაძემ იცის, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. ტალახაძემ იცის, რომ ეს არ არის მაქსიმუმი. და ჩვენ ლაშაზე უკეთ ვიცით, რომ მერე უკეთესი იქნება.

ლაშამ გახსნა ნიჭი, ზურგჩანთიდან ნიჭის ჩანჩქერმა ამოხეთქა და ტალახაძე არ გაჩერდება. ჩვენ არ გავაჩერებთ. იქ ზედმეტად ბევრი ნიჭი და გამოსაყენებელი პოტენციალია. შეხედეთ ლაშას. ერთი წამით მაინც უშვებთ, რომ ეს კეთილი გოლიათი იზარმაცებს? არ მგონია. ლაშა ბოლომდე გავა, ბოლომდე მიაწვება და მოსაგებს მოიგებს. ძალიან მესიამოვნება, თუ ტალახაძის მთავარი კონკურენტი ირაკლი თურმანიძე იქნება...

ევროპის ჩემპიონი, რომელმაც ჰიუსტონში მაქსიმუმი მოგვცა. კიდევ ერთი გოლიათი, რომელიც ჩვენია. რომელიც ძალიან კარგია. რომელიც მეტს გააკეთებს და მეტს მიიღებს. რა სასიამოვნოა, როდესაც ორი ამ დონის სპორტსმენი გყავს. და როდესაც ორივეს თვალდახუჭული ენდობი. ტალახაძე და თურმანიძე კარგები იყვნენ. ჩვენები და კარგები.

ძალოსნობა რთული, ძაან რთული სახეობაა. და ძალოსნობაში რთული, ძაან რთულია დიდი შედეგის მიღება. საკუთარ თავზე და საკუთარ თავთან ერთად უნდა იმუშაო და სადღაც, უნდა გაგიმართლოს. ჩვენ გაგვიმართლა. ბევრჯერ...

გაგვიმართლა, რომ კახი კახიაშვილი დაბრუნდა და ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტია...

რომ გიორგი ასანიძე ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა...

რომ ირაკლი თურმანიძემ ევროპის ჩემპიონატი აქ, ჩვენთან მოიგო...

რომ ეს ევროპის ჩემპიონატი ძაან მაღალ დონეზე ჩავატარეთ...

რომ ლაშა ტალახაძემ მაქსიმუმი შეძლო და გოლიათმა ღიმილი, პერსპექტივა გვაჩუქა...

რომ ყველაფერი ეს ჩვენია...

რომ ტალახაძე და თურმანიძე, ჩვენი დევები, ჩვენი გოლიათები არიან...

რომ ორივე რჩება და არსად წასვლას, გაჩერებას არ გეგმავს...

რომ ისინი ყურადღებით აკვირდებიან საკუთარ თავს და იციან, რომ მეტს აიღებენ, მეტს მოგვცემენ, მეტს გააკეთებენ...

რომ ყველაფერი ეს კარგად დამთავრდა. და ამ ამბავს უკეთესი გაგრძელება ექნება...

ჩემპიონატის სხვა ქართველებზე არ დაგვიწერია და ეს ამბავი ცოტა მერესთვის გადავდოთ. არაფერი არ გაფუჭდება. სხვებიც იყვნენ და სხვებმაც მოგვცეს სალიცენზიო ქულები. სხვებიც ხომ ჩვენები არიან.

და ჩვენ ვამაყობთ ჩვენი გოლიათებით!

მომავალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

მე-13 გვერდიდან

ლაგოსიდან „სანტოსმა" მოზამბიკს მიაშურა, მაგრამ მოხდა ისე, რომ პელესა და მის გუნდს ნიგერიაში დაბრუნება და კიდევ ერთი თამაშის გამართვა მოუხდა. ეს მოხდა ქალაქ ბენინში (არ უნდა აგვერიოს მეზობელ ქვეყანაში, რომელსაც ასევე ბენინი ჰქვია).

ის ნიგერიის ეგრეთ წოდებული მიდვესტის დედაქალაქია და მისი მოსახლეობა ფეხბურთზე გიჟდება.

ეს ამბავი ასე მოხდა: 16 იანვარს მიდვესტის სპორტის საბჭოს თავმჯდომარე ისააკ ოკონჯო თავისი რეგიონის მოსახლეობის წინაშე გამოვიდა და განაცხადა, რომ დაფუძნდა „სანტოსის" ბენინში მიწვევის კომიტეტი, რომელიც ფულის შეგროვებას იწყებდა. ბრაზილიელები ჯერ კიდევ კონგოში იყვნენ, როცა მონდომებული ოკონჯო ლაგოსში ჩავიდა და ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ჯოფრი ამაჩრეს შეხვდა. მან ამაჩრეს „სანტოსის" ხელმძღვანელებთან შუამდგომლობა სთხოვა, ოღონდ არც ის დაუმალა, რომ ლაგოსელებივით 11 000-ს ვერ შესთავაზებდა და უნდოდა, სტუმრები 6 000-ზე დაეყოლიებინა. ამაჩრე ოკონჯოს დაჰპირდა, რომ ცდას არ დააკლებდა.

25 იანვარს, ბენინში დაბრუნებულმა ოკონჯომ კიდევ ერთი პრესკონფერენცია მოიწვია და თავის მოსახლეობას გამოუცხადა, რომ „სანტოსისა" და მიდვესტის ნაკრების შეხვედრა... ვერ შედგებოდა. ბრაზილიელები თავიანთ გადატვირთულ გრაფიკში კიდევ ერთ თამაშს ვერაფრით ჩასვამდნენ, მაგრამ 27-ში, სწორედ იმ დღეს, როცა პელე და მისი რაზმი მოზამბიკში გაემგზავრა, ოკონჯომ კვლავ დაიბარა ჟურნალისტები და გამოუცხადა, რომ სტუმრებმა აზრი შეიცვალეს. შეხვედრის დღედ 5 თებერვალი დაითქვა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, თამაში 4 (!) თებერვალს გაიმართა. „სანტოსი" საიდანღაც ჯერ ლაგოსში ჩაფრინდა, მერე თვითმფრინავი გამოიცვალა და ბენინს მიაშურა, სადაც მთელი ადგილობრივი სამხედრო ხელმძღვანელობა შეეგება. თამაში ოთხის ნახევარზე იყო დანიშნული, მაგრამ სტადიონის კარიბჭეები დილის 10 საათიდან გააღეს. ადგილობრივებზე აღარაფერს ვამბობთ, ზოგი გულშემატკივარი ლაგოსიდანაც კი ჩავიდა, პელეს თამაში ხელმეორედ რომ ენახა.

მიდვესტის ნაკრებმა ძალიან მოინდომა, მაგრამ 2:1 წააგო. ბენინელი მაყურებლის სამწუხაროდ, ორი გოლიდან პელემ ერთიც ვერ გაიტანა. დამთავრდა თუ არა შეხვედრა, „სანტოსი" აეროპორტისკენ გაეშურა და გეზი განასკენ აიღო.

ლეგენდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ

ახლა კი, როცა პელესა და მისი თანაგუნდელების აფრიკული ვოიაჟის შესახებ ცნობარებში ამოკითხული ამბები მოვყევით, დავუბრუნდეთ კითხვას: ნუთუ მართლა შეწყდა ნიგერიის სამოქალაქო ომი 48 საათით? თუ არ შემწყდარა და საიდან მოდის ეს ჭორები?

დავიწყოთ იმით, რომ ინტერნეტში ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით რამდენიმე სტატიაა სხვადასხვა ენაზე და ზოგის თანახმად ეს ამბავი 1967 წელს მოხდა, ზოგის თანახმად კი 69-ში. საკუთრივ ნიგერიულ წყაროებში ვერ ნახავთ ვერც ერთ სტრიქონს, სადაც ცეცხლის შეწყვეტის ამბავი იქნება ნახსენები. იმ პერიოდის ორი წამყვანი ნიგერიული გაზეთი, ზემოხსენებული „ნაიჯერიან დეილი თაიმზი", რომელიც ლაგოსში გამოდიოდა და ბენინის „ნაიჯერიან ობსერვერი" „სანტოსის" 1969 წლის ტურნეს დიახაც აშუქებდა, მაგრამ პელეს გამო ომი შეწყდაო, არსად წერია. არადა, CNN, „თაიმი", „ტელეგრაფი", Goal.com, Wikipedia.org, Globesporte.com და სხვა წყაროები ჯიუტად ჰყვებიან ამ იდუმალებით მოცული ამბის შესახებ.

1967 წელი საიდანღა მოვიდა? საქმე ის არის, რომ საკუთრივ პელემ, 1977 წელს გამოცემულ ავტობიოგრაფიულ წიგნში „ჩემი ცხოვრება და მშვენიერი თამაში", შეცდომა დაუშვა (რაც „ფეხბურთის მეფეს" ზოგადად ახასიათებს) - აფრიკული ტურნე, რომელიც ზემოთ ასეთი მონდომებით აღვწერეთ, 1967 წლით დაათარიღა. ეს ცხადია ტყუილია: ყველა წყაროს თანახმად ტურნე 1969 წელს გაიმართა. პელეს კი ეს შეცდომა ვაპატიოთ, რადგან 60-იან წლებში „სანტოსთან" ერთად ბევრს მოგზაურობდა და არ არის გასაკვირი, რომ არეოდა.

მეორე მხრივ, კი „ფეხბურთის მეფე" უცნაურად იქცევა, როცა 1977 წლის წიგნში ცეცხლის შეწყვეტის ამბავს საერთოდ არ ახსენებს, 2007 წელს გამოცემულ ახალ მემუარებში („პელე - ავტობიოგრაფია") კი უეცრად ამბობს, რომ მის გამო მხარეები 48 საათით დაზავდნენ. ვითომ Wikipedia-ში წაიკითხა? ვინ იცის... მით უფრო, რომ ამ წიგნში ტურნე უკვე 1969 წელსაა გადატანილი.

კიდევ ერთი ლეგენდის თანახმად, მიდვესტის გუბერნატორმა, ლეიტენანტ-პოლკოვნიკმა(!) სამუელ ოგბემუდიამ ბენინში თამაშის დღეს საგანგებოდ გაათავისუფლა ხიდი, რათა „ბიაფრას მოქალაქეებს" თამაშზე დასწრება მოეხერხებინათ. არც ეს უნდა იყოს მართალი, რადგან, ხიდი, რომელზეც ამ ლეგენდაში ამბობენ, სწორედ იმ თამაშის დღეს გაიხსნა, ოღონდ „ბიაფრას მოქალაქეების" გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ააშენეს და ექსპლოატაციაში გაუშვეს.

საერთოდაც ძალიან საეჭვოა, რომელიმე ბიაფრელს „სანტოსის" სანახავად ფედერალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლა გაებედა. ყველაფერს

რომ თავი დავანებოთ, ბენინის თამაშამდე ოთხი დღით ადრე ბიაფრას ძალების თვითმფრინავმა ქალაქის ახლოს, ერთ-ერთი სოფელი დაბომბა, ხალხი დახოცა...

„სანტოსის" სტატისტიკის ცენტრის კოორდინატორი გილერმე გუარჩე ვარაუდობს, რომ ცეცხლის შეწყვეტის ლეგენდას სათავე ბრაზილიაში მცხოვრებმა ფრანგმა ჟურნალისტმა მიშელ ლორენსმა 1990 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში დაუდო. ისე, თავიდან პელეც უფრო ფრთხილად ლაპარაკობდა:

„არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ ისტორიაში ყველაფერი ზედმიწევნით მართალია, მაგრამ ნიგერიელებმა ნამდვილად მიიღეს ზომები, თამაშის დღეს ლაგოსში ბიაფრის ძალები რომ არ შემოჭრილიყვნენ", - წერს ლეგენდარული ფეხბურთელი 2007 წლის წიგნში , - მახსოვს, ქუჩებს უამრავი ჯარისკაცი აკონტროლებდა. ჩვენც, სანამ ნიგერიაში ვიყავით, შეიარაღებული ძალები გვიცავდნენ".

შემდეგ „ფეხბურთის მეფე" ბრძანებს, რომ მას და მის თანაგუნდელებს „სანტოსის" ბიზნეს-მენეჯერმა უთხრა - სანამ თქვენ აქ ხართ, სამოქალაქო ომი შეწყდებაო...

2011 წელს, CNN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კი „ფეხბურთის მეფე" კატეგორიულია:

„დიახ, ყველაფერი ასე იყო და მე ამით ვამაყობ. ცეცხლის შეწყვეტის ამბავი ავტობიოგრაფიაშიც მიწერია და ჩემს შესახებ გადაღებულ ფილმშიც არის შეტანილი. მე და ჩემმა თანაგუნდელებმა ომი შევაჩერეთ. ეს კი იმიტომ მოხდა, რომ აფრიკაში ხალხს ფეხბურთი უყვარს.

CNN: პირველ ავტობიოგრაფიულ წიგნში თქვენ წერთ, რომ ეს ამბავი 1967 წელს მოხდა...

„დიახ, ზუსტად ასე იყო".

ისე კი, პელეს ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში იმდენად დიდია და აფრიკაშიც მართლა ისე უყვართ ფეხბურთი, რომ მის გამო ცეცხლის შეწყვეტის ამბავი დიდი შანსია მართალი იყოს. ერთი ეგაა, მას ძალიან სუსტი წერტილი აქვს... ასეთი რამ, როგორც ჩანს, არ მომხდარა!

ილია ბაბუნაშვილი

ის კი მშობლიურ ფოთს ვერ შეელია

1972 წელს საბჭოთა კავშირის ნიჩბოსანთა ნაკრებ გუნდებში მწვრთნელთა შემადგენლობის რეორგანიზაციის შემდეგ ბაიდარა დამსახურებულ მწვრთნელ იგორ პისარევს ჩააბარეს. მან კი ორადგილიან ბაიდარაში ახალი ეკიპაჟი შექმნა - ერთმანეთს შეუწყვილა 23 წლის ფოთელი ვიქტორ კრატასიუკი და მინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნიკოლაი გორბაჩოვი.

ახალგაზრდები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, რადგან ბელარუსი სპორტსმენი დროის დიდ ნაწილს ფოთში ატარებდა საკავშირო შეკრებებზე. მათი ერთ ნავში ჩასმა ფოთელი ტიტულოვანი ნიჩბოსნის - ავერი მატკავას სურვილიც იყო. კარგა ხნის განმავლობაში მატკავა და კრატასიუკი ერთად ასპარეზობდნენ ორადგილიანი ბაიდარათი, 1971 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაც მოიგეს - მსოფლიოს ჩემპიონთა ორი ტანდემი: უკრაინელები - შაპარენკო-სტეცენკო და რუსები - კოსტენკო და კონონოვი ჩამოიტოვეს. ამის მიუხედავად, ვეტერანმა სპორტსმენმა იცოდა, რომ ასაკისა და შერყეული ჯანმრთელობის გამო მიუნხენის ოლიმპიურ თამაშებზე ვერ მოხვდებოდა, ამიტომ თანაქალაქელი შეგირდისათვის ღირსეული მეწყვილე სურდა...

უიღბლო დებიუტიდან ოლიმპიურ ოქრომდე

პირველი შესარჩევი შეჯიბრება მინსკის წყალსაცავზე მოეწყო, მაგრამ ახალშექმნილი ეკიპაჟისთვის დებიუტი დრამატული გამოდგა: ფალსსტარტის გამო ბიჭებს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება არ მიეცათ. მერე ევროპის ჩემპიონატსა და მსოფლიო რეგატაშიც მხოლოდ მეოთხე ადგილებს დასჯერდნენ, სამაგიეროდ, საბჭოთა დუეტმა უნგრეთისა და დანიის საერთაშორისო ტურნირებზე გამოავლინა შესაშური ოსტატობა - მეტოქეებს წარმატების იოტისოდენი შანსიც არ დაუტოვა.

კრატასიუკმა და გორბაჩოვმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს სპეციალისტებზე, რომ მათი ტანდემი ოლიმპიური თამაშების ფავორიტადაც დაასახელეს. მართლაც, ქართულ-ბელარუსული წყვილის ნავმა მიუნხენის ოლიმპიურ არხში საკვალიფიკაციო ეტაპზე კილომეტრიანი დისტანცია 3 წუთსა და 42,18 წამში დაფარა, ნახევარფინალი 3.30,7-ით მოიგო, ოქროს მედლების მოსაპოვებლად კი 3 წუთი და 31,23 წამი საკმარისი აღმოჩნდა.

მეორე-მესამე ადგილები, შესაბამისად, უნგრელებმა (იოჟეფ დემე-იანოშ რატკაი, 3.32,00) და პოლონელებმა (ვლადისლავ შუშკევიჩი-რაფაელ პიზჩი, 3.33,83) დაიკავეს. საბჭოთა ნიჩბოსნებს სტარტიდან ფინიშამდე წინ არავინ გაუშვიათ.

„შესარჩევი შეჯიბრების შედეგებიც მოწმობდა ჩვენი ეკიპაჟის ძალას, - იხსენებს მიუნხენურ ბატალიებს ნიკოლაი გორბაჩოვი, - ოლიმპიურ თამაშებზე ორადგილიანი ბაიდარებით ვაჟთა 25 წყვილი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ეს ბევრად მეტი იყო, ვიდრე ნავების რაოდენობა სხვა სახეობებში. მე და ვიქტორი წარმატებული სტარტის შედეგად მთელი დისტანციის მანძილზე ვლიდერობდით - უნგრელებს მთელი კორპუსით ვუგებდით. ფინიშამდე 500 მეტრით ადრე ნათელი იყო, რომ გამარჯვებას ხელიდან არ გავუშვებდით. ძალიან გვინდოდა ოლიმპიური ოქროს მედლისა და სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მოპოვება. მართლაც, ყველაფერი შეჯიბრების დამთავრების შემდეგ გერმანიაშივე მივიღეთ".

რიონდალეული და ბაიდარა

„ბაიდარასთან ჩემი „ნაცნობობა" კურიოზით დაიწყო, - იხსენებს ცნობილ ჟურნალისტ არჩილ გოგელიასთან საუბარში ოლიმპიური ჩემპიონი, - ნიჩბოსნობაში პირველ ნაბიჯებს ვდგამდი. ერთხელაც ბაიდარა რიონში შევაცურე. ვგრძნობდი, მწვრთნელი ნაპირიდან თვალს არ მაცილებდა. ამიტომ „აკრძალული" სიჩქარე ჩავრთე. ბაიდარამ „მიუცხოვა" თუ თავად ვერ მოვახერხე ბალანსირება, უცებ წყალში არ აღმოვჩნდი?! ერთი სიტყვით, კარგა ბლომად ვყლაპე რიონის წყალი. ზამთარი იყო. აკანკალებული ნაპირზე ძლივს გამოვედი. აი, მაშინ პირველად მივხვდი, რომ წყლის სტიქიასა და ბაიდარასთან ხუმრობა არ შეიძლება. ორადგილიანი ბაიდარა ჩემთვის იღბლიანი აღმოჩნდა. ნავში ჩემთან ერთად იჯდა კაცი, რომელმაც ყველაფერი მასწავლა, რაც შეეძლო. ეს კაცი ავერი მატკავა გახლავთ".

მისი წინაპრები ციმბირიდან ჩამოსახლებულან ზღვისპირა ქალაქში. ვიქტორი კი ფოთში დაიბადა და გაიზარდა. წყალსა და ნავებსაც პატარაობიდან შეეჩვია, რადგან მამას დაჰყვებოდა სათევზაოდ ხან მდინარეზე, ხან ზღვაზე. თავიდან გაუჭირდა ნიჩბებსა და ტალღებთან გამკლავება. თანდათან ისე მიეჩვია, რომ მამასაც კი ეჯიბრებოდა ნიჩბების მოსმაში.

16 წლისა მივიდა სანიჩბოსნო ბაზაზე. ავერი მატკავამ გადაწყვიტა, შრომისმოყვარე, მიზანსწრაფული ჭაბუკისგან ჩემპიონი გამოეძერწა. „ვიქტორის ბაიდარა მუდამ ყველაზე კარგად იყო მოვლილი, ვარჯიში არ ეზარებოდა, ნიჭი და მინაცემები უხვად ჰქონდა მომადლებული,"- იხსენებს მადლიერი აღმზრდელი. ზედ ჰყვებოდა მწვრთნელი შეგირდს.

ვიქტორს თვალი აწუხებდა... უფრო სწორად, აი, რას წერს ჟურნალისტი გიორგი ჩოჩიშვილი:

„ექვსიოდე წლის იქნებოდა კრატასიუკი, როცა დიდი განსაც-

ვიქტორ კრატასიუკი (მარცხნივ) და ნიკოლაი გორბაჩოვი



დელი დაატყდა თავს: შემთხვევით მეზობლის გოგომ ჩხირით თვალი გამოსთხარა. წარმოიდგინეთ ბავშვის მძიმე მდგომარეობა, მაგრამ ოჯახმა ღირსეულად გაუძლო განსაცდელს. კეთილი ხალხი იყო და... ორ ოჯახს შორის, შერიგება იქით იყოს, ნათელმირონობაც კი ჩამოვარდა. მოგვიანებით, როცა ვიქტორი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, ისეთი აზრიც გაჩნდა, რომ ამაში ერთგვარად მისმა ფიზიკურმა ნაკლმაც ითამაშა გარკვეული როლი - მან სხვა სფეროში სცადა თავისი უპირატესობის დამტკიცება, თითქოს კომპენსაციას ეძებსო".

ექიმები ამბობდნენ, კრატასიუკისთვის ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლებაო. ფსკოვში კარგი კლინიკა იყო და მატკავამ იქ მიიყვანა შეგირდი, ოპერაცია გააკეთებინა, თორემ მისი სპორტული კარიერა ნაადრევად დასრულდებოდა. ვიქტორიც უხმოდ ემორჩილებოდა ოსტატს.

გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან ფოთი სანიჩბოსნო მექად იქცა: ყველაფერი ჰქონდათ - ელინგები, სასტუმრო, სამედიცინო კაბინეტები... გაუყინავ სანიჩბოსნო ბაზებს გვიან შემოდგომიდან გაზაფხულამდე ფუტკარივით ეტანებოდნენ საბჭოეთის საუკეთესო ათლეტები - ღია წყალზე სავარჯიშოდ ჩამოდიოდნენ.

კრატასიუკი არა მარტო პირადი მწვრთნელისგან, არამედ ამ სპორტსმენებისა და მათი დამრიგებლებისგანაც იღებდა რჩევა-დარიგებებს. რიონის მძიმე და კაპარჭინას მსუბუქ წყალზე დაოსტატებულმა მალე გაიკაფა გზა საერთაშორისო სარბიელისკენ.

მას შემდეგ, რაც ბაიდარას გაუშინაურდა, ვიქტორ კრატასიუკი ხშირად აღწევდა წარმატებებს რესპუბლიკურ თუ სპორტსაზოგადების სახელით საკავშირო შეჯიბრებებში, მაგრამ ფოთელი ნიჩბოსნისთვის დიდი სპორტი 1971 წლიდან იწყება. მაშინ ავერი მატკავასთან ერთად საკავშირო სპარტაკიადა მოიგო.

მერე, გორბაჩოვს რომ შეუწყვილეს, ოლიმპიურ წელიწადს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდა და მყარად მოიკიდა ფეხი საკავშირო ნაკრებში, სადაც ყველა ვარჯიში მისთვის შეჯიბრების ტოლფასი იყო და რჩეულთა შორის რჩეული თუ არ იქნებოდა, გუნდში ადგილს ვერ შეინარჩუნებდა. კრატასიუკმაც გაუძლო ამ მძიმე გამოცდას. განსაკუთრებით იღბლიანი მისთვის ორადგილიანი ბაიდარა აღმოჩნდა.

მიუნხენი, 1972

გაზეთ „ფოთის უწყებანის" კორესპონდენტ ვანო ნარმანიასთვის მიცემულ ინტერვიუში ვიქტორ კრატასიუკი ასე იხსენებს თავისი კარიერის უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებას: „გერმანიაში სპორტსმენები ადრე ჩავედით, რომ ნორმალურად გაგვევლო აკლიმატიზაცია. ოლიმპიური სოფელი, იდეალური პირობები... შინაგანად ვგრძნობ, რომ ჩემპიონი გავხდები. პოტენციურ მოწინააღმდეგედ უნგრელებს გვისახელებენ, ვერკვევით მათ ტაქტიკაშიც. ისიც ვიცით, რომ გადამწყვეტ ბრძოლას ისინი ფინიშამდე 250 მეტრიდან იწყებენ.

დადგა ნანატრი წუთები. სამჯერ შემამოწმა დოპინგის კომისიამ. სტარტის წინ შიშისა თუ ზედმეტი ემოციებისგან მუხლები ამიკანკალდა. ჩემი პარტნიორი კოლია გორბაჩოვი იყო. შესანიშნავი სპორტსმენი ბელორუსიიდან. იდეალურად შევეწყვეთ ერთმანეთს. წუთში 140 ნიჩბის მოსმას ვასწრებდით.

დგება სტარტის მომენტი. წინ 1000 მეტრია. მე და კოლიას გადაწყვეტილი გვაქვს, თავიდანვე დავწინაურდეთ... ვმუშაობთ თავდაუზოგავად, ვასწრებთ ყველას, გვერდში ჩვენი პოტენციური მოწინააღმდეგე უნგრელები მოგვდევენ. მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: უნგრელებმა ფინიშისთვის ბრძოლა 250-დან კი არა, 300 მეტრიდან დაიწყეს. ჩვენ ორი ნიჩბის მოსმა დავკარგეთ, თითქმის გაგვისწორდნენ კიდეც, მაგრამ ყოველივე ეს დროებითი აღმოჩნდა.

ფინიშის ხაზი პირველებმა გადავჭერით. მეტოქე თითქმის ნახევარი კორპუსით ჩამოგვრჩა. მოვეშვი, უკვე ოლიმპიური ჩემპიონი ვარ. კოლია მექანიკურად მაინც უსვამს ნიჩაბს, ძლივს ვაჩერებ... ავდივართ კვარცხლბეკზე, გვაჯილდოებენ ოქროს მედლებით. სული სიამაყით მევსება. ერთ-ერთი ჟურნალისტი რუსულად მეკითხება - ტელევიზიის საშუალებით ვის გადასცემდი სალამსო. დაუფიქრებლად ვუპასუხე - ფოთელებს, კუნძულისუბნელებს-მეთქი. შემდეგ ჩემი ოქროს მედალი წყალში გავრეცხე... მოსკოვში შერემეტიევოს აეროპორტში ჩემი პირველი მწვრთნელი ავერი მატკავა დამხვდა. მართალი გითხრათ, არ ველოდი. სიხარულისგან ცას ვეწიე"...

ოლიმპიადის შემდეგ ვიქტორ კრატასიუკის შედეგები უფერული გახდა - ოჯახურმა პირობებმაც შეუშალა ხელი და იმანაც, რომ 1973 წელს მეწყვილე შეუცვალეს - გორბაჩოვი სხვა ნავზე გადასვეს. საბჭოთა სპორტის მესვეურებმა, რომლებსაც დიდი არჩევანი ჰქონდათ, ნაადრევად აიღეს ხელი ფოთელ სპორტსმენზე.

საქართველოშიც არავინ იზრუნა მასზე და ოლიმპიური ჩემპიონიც ნელ-ნელა ჩამოშორდა დიდ სპორტს. მატერიალურად რომ გაუჭირდა, ძრავის შემკეთებლად დაიწყო მუშაობა. ცეცხლფარეშიც იყო, მაგრამ მატერიალური მდგომარეობა რომ ვერ გაიუმჯობესა, უკრაინას მიაშურა. იქაც რომ ვერაფერი ნახა სახეირო, შინ დაბრუნდა.

როგორც თავად გულისტკივილით აღნიშნავდა ერთ-ერთ ინტერვიუში, ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ კრატასიუკი უბრალო ვიტია გახდა. ქალაქის მერიის მიერ დანიშნული 50 ლარით ოჯახს ვერ არჩენდა. ძალიან გაუჭირდა და სმას მიჰყო ხელი... მეგობრები მოსკოვსა და მინსკში იწვევდნენ, ის კი მშობლიურ ფოთს ვერ შელია.

ვიქტორ კრატასიუკი 2003 წლის 18 მარტს 54 წლისა გარდაიცვალა.

ვაჟა დანელია

ჟურნალი AUTO BILD საქართველო წარმოგიდგენთ

მსოფლიოში N1 საავტომობილო ჟურნალის დეკემბრის ნომერში წაიკითხავთ

Mercedes Viano
ფასი: 8 000 ევრო
გარბენი: 200 000 კმ

პრობლემური მეორადი ავტომობილები

ფრთხილად ამ მოდელებთან!

ერთი შეხედვით ეს ხუთივე ავტომობილი მაგარი ტიპია, რადგან ხუთივე პოპულარულია. ჩვენ გეტყვით, რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ამ მოდელების შეძენისას

2015 წლის საუკეთესო ავტომობილები

ფოტოზე ხედავთ 2015 წლის საუკეთესო მოდელებს (მარცხნიდან): Audi A4, BMW X1, BMW 2er Gran Tourer, Audi R8, BMW 7er, Opel Astra და Hyundai i20.

სწორედ ამ ავტომობილებმა დაიმსახურეს წელს საავტომობილო ოსკარად წოდებული „ოქროს საჭეები“. გაინტერესებთ, როგორ და რა კრიტერიუმებში გაიმარჯვეს ამ მანქანებმა? ოქროს საჭე 2015-ის სრულ მიმოხილვას ჟურნალ „AUTO BILD საქართველოს“ დეკემბრის ნომერში გაეცნობით.

მდიდრულობა, სიმძლავრე, მოდურობა, დიდი სივრცე ავტომობილში - ამ მოდელების შემთხვევაში, ერთი შეხედვით, ყველაფერი რიგზეა, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ: ამ მოდელების შეძენაზე ფიქრის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო. საკმარისია, პრობლემური გადაცემათა კოლოფით ან ძრავით იყოს, რომ თქვენი გადაწყვეტილება ძალიან სარისკო იქნება. აქვე დავძენთ, რომ ეს მოდელები ყოველთვის და ყველა შემთხვევაში სუსტები არ არიან. მთავარია, სწორად შერჩევა! ზოგს აგრეგატების პრობლემები უჩნდება, ზოგს - ხარისხის, ზოგი მარტივად იჟანგება და ა.შ. მოდით, ამ ხუთივე მოდელის კონკრეტული პრობლემური ვერსიები უფრო ახლოს გავიცნოთ.

იხილეთ სტატია და თითოეული ავტომობილის მიმოხილვა დეტალურად ჟურნალ „AUTO BILD საქართველოს“ დეკემბრის ნომერში!

1 გერმანიის დემოკრატიული და ფედერაციული რესპუბლიკების ნაკრებების ბომბარდირი



2 დიდი ქართველი მოქიდავე

3 გამოჩენილი ქართველი ფორვარდი (ეთნიკურად ასურელი), შესულია ყველა დროის ბომბარდირთა სიაში

1. ოლივე ... 2. ... იბაკა 3. ... იაშინი
4. ნბა-ს ექსვარსკვლავი ... ჰილი
5. "ოლიმპის" ცენტრი აკაკი ...
6. "პარმას" შემტევი ექსპაბეკი დომენიკო ...
7. "ოლ ბლეექსის" ვარსკვლავი კევინ ...
8. "ინტერის" სტოპერი ანდრეა ...
9. ... დესაი
10. გაეტანო ...
11. "... უონდერერსი"
12. ... სმოლინგი
13. ... თურანი
14. რობსონ დე სოუზა
15. მსოფლიოს მე-5 ჩემპიონი ქალრაკში მაჭა ...
16. ... დიაო
17. "არსენალის" შემტევი ... სანჩესი
18. ... საფინი
19. ლეგენდარული ჩოგბურთელი ... ლეივერი
20. ... ფაბრეგასი
21. იაპონელი ჩოგბურთელი კეი ...
22. "ჰიტის" მსუბუქი ფორვარდი ... დენეი
23. "რეალის" და სელესაოს მარჯვენა მცველი
24. ინგლისის ნაკრების ექსფორვარდი გარი ...
25. ანდალუზიური საფეხბურთო კლუბი
26. ძუდოისტი ... ბულაძე
27. ... შანიძე
28. ბათუმელი მწერალი ... ბალაძე
29. "ბაუბერის" პილოტი ... ერიქსონი
30. "სელტას" შვედი ფორვარდი ... გავდეტი
31. "ფორს ინდიას" პილოტი ... ჰუიკენბერგი
32. "უილიამსის" პილოტი ფელიპე ...
33. სპერნეთის ნაკრების მწვრთნელი მიხაელ ...
34. უნგრელი დიდოსტატი ზოლტან ...
35. კაიროს საფეხბურთო კლუბი "... ზამალეკი"
36. დიდ ქართველი მარცხენა გარემარი
37. ინგლისელი ჩოგბურთელი ენდი ...
38. სპლიტის საფეხბურთო კლუბი
39. კრუიფის თანაგუნდელი ნაკრებში არი ...
40. ... ცალეფლამანიძე
41. ერვენის საფეხბურთო კლუბი
42. პორტუგალიელი ექსმცველი აბელ ...
43. კრაკოვის საფეხბურთო კლუბი
44. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი
45. ... რობენი
46. რიკარდი იზეკსონ დოს სანტოს ლეიტე
47. ... ადეოკატი
48. "ბილანის" მეკარე კრისტიან ...
49. კიევის "დინამოს" ლეგენდა იოზეფ ...
50. საფეხბურთო სკოლა "ვისილი ..."
51. ... ფალკაო
52. ... ბიდირიგა
53. დიდოსტატი ... ფეიბაგა
54. გერმანული კლუბი "ერცგებირგე ..."
55. ანდალუზიური საფეხბურთო კლუბი
56. ექსმოკრიცე ... ჰოლმსი
57. ფანო ...
58. ფანის ნაკრების ექსკაპიტანი სტივენ ...
59. "ჩელსის" ექსვარსკვლავი ფანფრანკო ...
60. ავტოდრომი იტალიაში
61. ფრაცის საფეხბურთო კლუბი
62. ... ალენი
63. ... ფელანი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

ფოტო 1. ალექსანდრო ალტობელი
ფოტო 2. გიორგი მინაშვილი
ფოტო 3. ვიქტორ გოგლიძე

1. შეფა 2. ფოლანდრი 3. ჯაზი 4. იპონი 5. გვიდო 6. ვინსენტ 7. მალაგა 8. ჰამმიკი 9. მოზგოვი 10. ლოუ 11. ეისი 12. ბორა 13. რენო 14. ვილია 15. პაულეტა 16. ალტაფინი 17. სეიდუ 18. ნენად 19. ინძაგი 20. პაპის 21. დელიპაგიჩი 22. ზაურ 23. რიუ 24. როსელი 25. ლამი 26. ტრევორ 27. ტოდ 28. დუ 29. ვან 30. ფილ 31. ოგბონა 32. ხეა 33. მირალემ 34. გენო 35. უეიდი 36. გიგა 37. მარკო 38. ნორგეი 39. ევიანი 40. ტაიშეირა 41. კრიშიტო 42. ტორრეელი 43. აიტორ 44. დირკ 45. ვიტორ 46. ტარიელ 47. ჩოსა 48. ჰაჯი 49. ჯაბა 50. შურა 51. კოკაი 52. ლუკ 53. ვილი 54. ვერონი 55. მეკო 56. ლადი 57. მაურო 58. ბენ 59. კენ 60. ვალიეხო 61. ალ 62. ნანინი 63. ბოკე 64. ამირან 65. ოლ 66. ლას

გახადე შენი ბიზნესი
2016 წელს
უფრო წარმატებული
დარეკე 218 30 01

week
RETRO
ETAVI
ISSN 1987-9148
9 771987 914000